ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   შაბათი, 24 მაისი   1997 №59 (424)   ფასი 40 თეთრი


# ახალქალაქმა თასის ფინალი გადაარჩინა

ბათუმელთა მიერ ცხელ გულზე ნათქვამი, თასის ფინალში შეიძლება არც ვითამაშოთო, საფუძველს მოკლებული სულაც არ იყო. გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში საკმაოდ შეშფოთებულები იყვნენ, „ბათუმი“ 26 მაისს სათამაშოდ არ გადის, თბილისიდან აყრა და შინ გამგზავრება გადაუწყვეტიათო. ფედერაციის ხელმძღვანელთა დაბნეულობამ მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანა, მერე კი... მერე დაიწყო მოქმედება, თუმცა დრო გადიოდა, ვითარება კი არ ირკვეოდა. საქმეში მთავრობა, სპორტის დეპარტამენტი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა ჩაერია. სასტუმრო „მესაზღვრიდან“ ისევ ცუდი ხმები მოდიოდა, ბათუმელები ბარგს ალაგებენ და მიდიანო. მოკლედ, ადრეული დილიდან დაწყებულმა ორომტრიალმა საღამოს 5 საათამდე გასტანა. ამ დროს ფედერაციასთან წითელი ფერის „07“ გაჩერდა და იქიდან ბათუმელები გადმოვიდნენ. „ბათუმის“ ტექნიკურმა დირექტორმა თამაზ ცინარიძემ, ფეხბურთელებმა მალხაზ მახარაძემ, თემურ ტულუშმა, გელა შეყილაძემ და დავით უჯმაჯურიძემ გეზი ფედერაციის პრეზიდენტის ოთახისკენ აიღეს. ისინი ახალკაცს დაებარებინა. პრეზიდენტთან საუბარმა საათზე მეტ ხანს გასტანა. ჩვენ იქ აბა, ვინ შეგვიშვებდა, ამიტომ დაველოდეთ, გარეთ გამოსულებს დავეკითხეთ და ის შევიტყვეთ, რომ ახალკაცთან გასაუბრების მერე ფეხბურთელებს მატჩის ჩანაწერისთვისაც უცქერიათ. სხვა ვერაფერი შევიტყვეთ, თუმცა ბევრიც არაფერი ყოფილა შესატყობი. როგორც კულუარებში ბჭობდნენ, ბოლნისში მომხდარს სადისციპლინო კომისიის საგანგებო სხდომა მიეძღვნება, ოღონდ ეს თასის ფინალის შემდეგ მოხდება, ხანიაშვილის მიერ წითელი ბარათით „დაჯილდოებული“ ბათუმელები კი 26 მაისს თასის ფინალში ითამაშებენო. ძნელი სათქმელია, მივაღექით კი ამით საქმის სწორად გადაჭრის გზას. ახლა იმას ვერავინ იტყვის, რა და როგორ აჯობებდა, ან სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას რა მოჰყვებოდა. მთავარია, დაძაბულობა ოდნავ ჩაცხრა და ბათუმელთა ცხელ გულზე დანაქადნი, თასის ფინალს არ ვითამაშებთო, შერბილდა და ახლა ყაბულს არიან. სხვა საქმეა, როგორ გადაწყდება მათი ბედი ფინალის მერე. ვარაუდები აქაც გამოითქვა და იძულებულნი ვართ, ჩვენც მოგახსენოთ, რადგან ოფიციალურად ჯეროვნად ვერავინ ვერაფერი გვითხრა. ვადაზე ადრე მინდვრის დატოვებისთვის „ბათუმს“, ალბათ, წაგებას ჩაუთვლიან, სანქციები ფეხბურთელებსაც შეეხებათ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფედერაცია ხელუხლებლად ვერც მსაჯთა ბრიგადას დატოვებს.

## საქართველოს ჩემპიონატი — 29 ტური

| | | |
|---|---|---|
| მერანი | 2:1 | სამგურალი |
| კახეთი | 2:5 | დინამო |
| გურია | 3:1 | მარგვეთი |
| თსუ | 0:2 | კოლხეთი |
| ოდიში | 2:1 | სამტრედია |
| ივერია | 2:3 | გორდა |
| დილა | 3:2 | ტორპედო |
| სიონი | 1:0 | ბათუმი |

შეწყდა 52-ე წუთზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 24 | 3 | 1 | 92:21 | 75 |
| კოლხეთი | 29 | 19 | 4 | 6 | 68:28 | 61 |
| ბათუმი | 28 | 17 | 8 | 3 | 67:19 | 59 |
| მერანი | 28 | 17 | 6 | 5 | 46:25 | 57 |
| ტორპედო | 29 | 14 | 3 | 12 | 69:57 | 45 |
| ოდიში | 29 | 13 | 1 | 15 | 49:52 | 40 |
| დილა | 29 | 10 | 7 | 12 | 29:37 | 37 |
| მარგვეთი | 28 | 11 | 2 | 15 | 41:60 | 35 |
| გურია | 29 | 10 | 3 | 16 | 33:56 | 33 |
| თსუ | 29 | 8 | 9 | 12 | 35:39 | 33 |
| გორდა | 29 | 10 | 2 | 17 | 39:55 | 32 |
| სიონი | 28 | 9 | 5 | 14 | 26:38 | 32 |
| სამგურალი | 29 | 9 | 5 | 15 | 33:53 | 32 |
| სამტრედია | 29 | 9 | 3 | 17 | 29:55 | 30 |
| კახეთი | 28 | 10 | 1 | 17 | 29:58 | 26 |
| ივერია | 29 | 5 | 6 | 18 | 24:57 | 21 |

გუშინწინ „შევარდენზე“: თსუ — „კოლხეთი“. ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მრავლადაა მსგავსი აყალ-მაყალი და შეტაკებები





# იაშკა აფეთქდა!

## სვამს კოკას, ჭამს ერბოკვერცხს და გოლებიც გააქვს

31-ე ტურში „ლიუბეკმა“ მდევარ „ოლდენბურგს“ უმასპინძლა, 2:0 დაამარცხა და 33 ქულა დააგროვა. ორივე გოლი იაშვილმა გაიტანა. როგორც ჩანს, საგოლე პასების რიგებისა და ძელ-ხარიხათა „მტვრევის“ მერე იაშკამ ნავსი საბოლოოდ გატეხა და ვინ იცის, მეორე ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლ „ლიუბეკს“ ეს ამბავი იქნებ ძალიანაც წაადგეს. ფინიშამდე სამი ტურით ადრე „ლიუბეკი“ „ცვიკაუს“ და „მანჰაიმს“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჭიდება. მანამდე კი იყო კატასტროფა „კაიზერსლაუტერნთან“ — 0:7.

**— იაშკა, რა მოხდა?**

— მეხუთე წუთზევე მცველი გაგვიგდეს და სამი ყვითელიც გვიჩვენეს. არ წაგვივიდა თამაში. 0:2 რომ გახდა, კიორბელმა მე და კიდევ ორი მოთამაშე დაგვასვენა — ამ მატჩში მაინც აღარაფერი გამოგვივა და თქვენი ფეხების მოტეხვას ის მიჯობს, დარჩენილი სამი მატჩის მოსაგებად გადაგინახოთო. ჩავედი გასახდელში, წყალი გადავივლე, ამოვედი და... ტაბლოზე 0:6 არ წერია! კიორბელი კინაღამ გადაყვა ამ ამბავს.

**— „ოლდენბურგთან“ როგორ გაიტანე ორი გოლი?**

— ორივე პირველ ტაიმში შევაგდე. პირველი ლამაზი გამოვიდა: რამდენიმე მცველს გავცდი, მეკარეც მშრალზე დავტოვე და ისე გავიტანე. მეორედ კი, დავინახე თუ არა დაცვაში ღრიჭო, დავარტყი... ბურთი მცველსაც შეეხო და ორით ნოლიც გახდა. კიორბელმა სიხარულისგან კინაღამ ჭკუა დაკარგა.

**— შემდეგი თამაში როდის გაქვთ?**

— 25 მაისს კიოლნში „ფორტუნას“ ვეთამაშებით. დარჩენილ სამ მატჩში მაქსიმუმი უნდა ავიღოთ. ბოლოს კი, 11 ივნისს შინ „მანჰაიმთან“ გადაწყდება, დავრჩებით თუ არა. ახლა, რაკილა სამ დღეში თამაშია, გაძლიერებულ აღდგენითი მასაჟები დაგვინიშნეს. ხვალ კიოლნში ჩავდივართ, რათა „ფორტუნასთან“ შესახვედრად კარგად მოვემზადოთ. გადამწყვეტი ეტაპი დგება...

...ამასობაში „აქტუელფმა“ დიდი წერილი უძღვნა „ვილის“ და „პატარა მორბენალი საოცრება შეარქვა“, თანაც იაშკას სამზარეულოც გააცნო მკითხველს: „სიამოვნებით სვამს კოკა-კოლას და რაც კი კვერცხით მზადდება, ყველაფერს მიირთმევს“. ჰამბურგულმა „ბილდმა“ კი „პატარა ქართველი ბურთის ჯადოქარი“ უწოდა — როცა იგი ბურთს ეპატრონება, ყველა ერთხმად ვილი-ვილის გაჰკივისო...

კიორბელის სიხარული კი გასაგებია, მაგრამ ვლადიმერ გუცაევსაც ძალიან გაახარებს ეს ამბავი: ახალგაზრდული ნაკრების ორი შეხვედრის წინ ფორვარდის ასეთი აფეთქება მართლაც სასიხარულოა...

**მამუკა ძვარაცხელია**



# ძიუდო, რომელსაც პირველად ვნახავთ

დღეს 15 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება ძიუდოში ევროპის საკლუბო თასის პირველი წრის შეხვედრა თბილისის „შევარდენსა“ და ხორვატიის „დუბროვაჩკა ბანკას“ შორის. ტატამზე ესენი გამოვლენ:

| შევარდენი | | დუბროვაჩკა ბანკა |
|---|---|---|
| ნესტორ ხერგიანი | 60 კგ | ნათიქ ბაგიროვი |
| გიორგი ვაზაგაშვილი | 65 კგ | იგორ იანკოვიჩი |
| კობა თადიაშვილი | 71 კგ | იგორ კოლიევი |
| დავით ნადარაია | 78 კგ | ლეონარდ ბულიჩი |
| სოსო ლიპარტელიანი | 86 კგ | ივან ობრანი |
| გია გუგავა | 95 კგ | ედი ბაიურინი |
| რამაზ ჩოჩიშვილი | მძიმე | ტამერლან ტმენოვი |

ხორვატები თბილისს ოთხშაბათს ჩამოვიდნენ და თან სამი უცხოელი იახლეს: ბაგიროვი, კოლიევი (ორივე ბელარუსი) და ტმენოვი (რუსეთი). მძიმეწონოსანი ესტონელი ინდრეკ პერტელსონი შეხვედრისთვის კი ემზადებოდა, მაგრამ ნეკნი გაიტეხა და შინ დარჩა. მუხლი ასტკივა უზბეკ არმენ ბაღდასაროვს, რომელიც 95 კგ-სთვის ჰყავდათ გამზადებული. გუნდის მწვრთნელი ნათიქ ბაგიროვია, რომელიც, იმავდროულად იჭიდავებს კიდეც. ხორვატები ერთობ რიხით არიან და, უბრძოლველად არაფრის დათმობას არ ვაპირებთო, ამბობენ. წასაგებად, ცხადია, არც ქართველი შევარდენები გავლენ ტატამზე.

# თამაში ტაროსმა გადაადებინათ

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

უამრავი წინააღმდეგობის მიუხედავად გუშინწინ, 18 საათზე, ვაკეში მაინც უნდა გამართულიყო რაგბის ჩემპიონატის პირველი დიდი მატჩი. ერთმანეთს შარშანდელი ჩემპიონი „გუმარი“ და ბრინჯაოს პრიზიორი „ქორები“ უნდა შებმოდნენ.

მოედანი სარაგბოდ გაეწყო, მაგრამ დახეთ უბედობა: 16 საათისთვის დელისსა და ბაგებს ტაროსმა გადაუარა. ამოვარდა ქარი, მოიღრუბლა და საშინელი წვიმა დაუშვა. არადა, ქალაქის სხვა, ვაკის ამ მხარიდან საკმაოდ ახლო უბნებშიც კი მშვენიერი დარი იდგა.

ვაკის სტადიონი მთლად მელბურნის „კრიკეტ გრაუნდი“ ვერაა. მისმა დრენაჟმა ვერ შეისრუტა მოჭარბებული წყალი. მოედანი რამდენსამე ადგილას ძალიან დაიტბორა და ხაზებიც მოიშალა, რადგან, როგორც კომპეტენტური წყაროდან შევიტყვეთ, უცხოეთისგან განსხვავებით ჩვენში წესად არა აქვთ დასახაზ ცარცის ხსნარში ემულსიის შერევა.

მოკლედ, თამაში ჩაიშალა. მისი გამართვის ახალი ვადის გამო დისკუსია იყო მოსალოდნელი, მაგრამ მონაწილეთა და ვაკის სტადიონის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ოპერატიულად გადაწყდა, რის შედეგადაც ᲓᲦᲔᲡ, 17 საათიდან, ვაკეში ზედიზედ ორი დიდი მატჩი გაიმართება: „გუმარი“ — „ქორების“ გარდა „ყოჩები“ და რუსთავის „ქიმიკოსიც“ შეებმიან ერთმანეთს — რა თქმა უნდა, თუ ისევ არ იწვიმა.

# „იუვე“ წუხელ ჩემპიონია!

იტალიის ჩემპიონატის 33-ე ტურის მატჩში „იუვენტუსმა“ ბერგამოში „ატალანტასთან“ ფრედ, 1:1 ითამაშა და დაარსების ასი წლისთავი 24-ე სკუდეტოს მოპოვებით აღნიშნა. წუხანდელ მატჩში ანგარიში მასპინძელმა ინძაგიმ მე-19 წუთზე გახსნა და 54-ეზე ჯულიანომ გაათანაბრა.

# სამართალი ცოტას მოიცდის...

**სიონი 1:0 ბათუმი**

**მატჩი შეწყდა 52-ე წუთზე**

**ბოლნისი. სტადიონი „თემურ სტეფანია“**
**სიონი:** ჩლაიძე, მეფარიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაქიაშვილი, ვ. ჯაფარიძე, გოგოლაძე, ტარტარაშვილი, ხოსროშვილი, ჯაგიდისი, მოსეშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორღაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
1:0 ჯაგიდისი (12 წ)
**გაფრთხილება:** უჯმაჯურიძე, ტულუში
**გაძევება:** ტულუში, შეყილაძე
**მსაჯი:** შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

...სუდია, შენი ოჯახი აშენდა, სუდია, იმისი ჭირიმე, ვინც ამ თამაშზე დაგნიშნა — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მთელი 52 (!) წუთი ასე ლოცავდნენ ბოლნისელი გულშემატკივრები შოთა ხანიაშვილს. დამეთანხმებით, ცოტა უცნაურია, მაყურებლებმა ასეთი ქება-დიდებით შეამკოს მსაჯი. არადა, გუშინწინ ბოლნისში სწორედ ასე იყო. ჩვენს ჩემპიონატში ბევრი რამ მინახავს, ჩაწყობილი თამაშებიც მრავლადაა, მსაჯებიც სცოდავენ, მაგრამ, რასაც „სიონი“ — „ბათუმის“ მატჩის დროს შევესწარი, გასაკვირიც იყო და გულდასაწყვეტიც. გასაკვირი იმდენად, რამდენადაც მოულოდნელი. აბა, წარმოიდგინეთ, ბოლნისში, შეიძლება ითქვას, ტურის ცენტრალური მატჩი ტარდებოდა. ორივე გუნდს განსხვავებული მიზნები ჰქონდა — წაგების შემთხვევაში „სიონი“ პირველ ჯგუფში დარჩენის შანსს იმცირებდა. ასე რომ, ბათუმელებთან შეხვედრა მათთვის გადამწყვეტი გახლდათ, სტუმრებს კი მარცხის შემთხვევაში მეორე ადგილის მეოთხეზე გაცვლა ემუქრებოდათ. ამიტომაც, ბოლნისურ მატჩს უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და მეც ნაღდი, უკომპრომისო ბრძოლის სახილველად გავემგზავრე ბოლნისს. ამის ნაცვლად ისეთი რამ ვნახე, კარგა ხანი რომ არ მომხდარა ჩვენს ჩემპიონატში, თუმცა, ეს მოსალოდნელიც იყო: ბოლო დროს ასე მომრავლებული ჩაწყობილი თამაშები საბოლოოდ აქამდე მიგვიყვანდა. მეტი რომ აღარ გავაგრძელო პირდაპირ მატჩზე გეტყვით.

პირველსავე წუთიდან აშკარა იყო, მოედანზე რაღაც უნდა მომხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელთა ხისტი, უხეშობამდე მისული თამაში ამას აუცილებლად გაფიქრებინებდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით ჯაგიდის-შეყილაძისა და მეფარიშვილ-უჯმაჯურიძის წყვილები გამოირჩეოდნენ. თუმცა, არც სხვა ბოლნისელი მოთამაშეები იყვნენ გულხელდაკრეფილები და, ჯაგიდისისა და მეფარიშვილის არ იყოს, მათაც ერთი სული ჰქონდათ, როდის აალელვებდნენ და აანერვიულებდნენ ბათუმელებს. პირველად ჯაგიდისმა და შეყილაძემ გაარკვიეს ურთიერთობა. მასპინძელმა ხელით დაიჭირა თავისი მეურვე, სტუმარმა, მართალია, სცადა მისგან გათავისუფლება, მაგრამ საქმეში მსაჯი ჩაერია და ჯარიმა ბოლნისელთა სასარგებლოდ დანიშნა. ჯარიმის შესრულებამდე კი ერთსაც და მეორესაც ცოტა აკლდათ ერთმანეთისთვის ფიზიკურ შეურაცხყოფამდე. ეს ეპიზოდი ამით დამთავრდა, მაგრამ მატჩის მიმდინარეობისას მსგავსი იმდენჯერ მოხდა, მასპინძელთა ლიდერი ნამდვილად იმსახურებდა ყვითელ ბარათს. მეფარიშვილ-უჯმაჯურიძის დუეტიც არაფერს ერიდებოდა, ამათაც ბევრჯერ მოუხდათ საქმის გარჩევა. დამნაშავე, როგორც ტრიბუნიდან ჩანდა, აქაც მასპინძელი იყო, მაგრამ ხანიაშვილმა მაინც უჯმაჯურიძე გააფრთხილა, რომელიც მატჩის შემდეგ იტყვის: „გაფრთხილების ღირსი არ ვიყავი. მართალია, ხანიაშვილს, შეველაპარაკე, მაგრამ ისეთი არაფერი მითქვამს, ყვითელი რომ ამოეღო. ასეთი რამ ყველა თამაშში ხდება და არავის აფრთხილებენ, დღეს კი... ეტყობა, ასე სჭირდებოდა“. მართლაც, რაში სჭირდებოდა შოთა ხანიაშვილს უჯმაჯურიძის გაფრთხილება, ტულუშის გაძევება ან კიდევ შეყილაძისათვის თამაშის მერე წითელის ამოღება, ძნელი სათქმელია და ჩემზე უკეთ ფედერაცია გაარკვევს ყველაფერს. ახლა ისევ თამაშზე, თუ შეიძლება ასე ეწოდოს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა...

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პირველი მომენტი სწორედ „ბათუმმა“ შექმნა და ისიც იმ ფლანგიდან, სადაც უხეშობის ზღვარამდე კი არა, ზღვარგადაცილებულად ეთამაშებოდნენ მუჯირს ყიფშიძე და ლიბერო ყაველაშვილი. ეს უკანასკნელი კარგად კი აზღვევდა პარტნიორებს, მაგრამ მუჯირის და მარჯვენაფლანგელი ღლონტის ბედი, მოედნიდან საკაცით რომ არ გაიყვანეს. მარცხენა ფლანგზე მუჯირის მორიგი წაქცევისთვის ჯარიმა დაინიშნა, ბურთი მანვე ჩააწოდა საჯარიმოში, ჯერ უჯმაჯურიძემ დაარტყა თაური, შემდეგ ღლონტმა დაამატა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. პირველ ტაიმში სულ ეს იყო, რაც „ბათუმმა“ შექმნა, მალხაზ მახარაძის თაურსა და მისი მოგვარის შორიდან დარტყმულს თუ არ ჩავთვლით. დანარჩენ შემთხვევებში მათი იერიშები შუა გზაზე წყდებოდა...

გოლი მე-12 წუთზე გავიდა, როცა ჯაგიდისმა ტანი ჩაუდგა შეყილაძეს და ბურთიც გაატარა, საჯარიმოში შეჭრილი ხორსოშვილი, ვერ გეტყვით, ვანო მახარაძის დახმარებით თუ დაუხმარებლად, წაიქცა და ხანიაშვილმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც ჯაგიდისმა გამოიყენა. ამის შემდეგ ბათუმელები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ, შეეძლოთ კიდეც სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ უკვე ვთქვი, რომ შუა გზიდან უკან მობრუნება უწევდათ. ამ დროს კი „სიონი“, გულშემატკივართაგან იმედმიცემული, დიდი ჟინითა და მონდომებით განაგრძობდა თამაშს. ჯერ იყო და, ორჯერ ჯაგიდისს გაუცუდდა დარტყმული, მერე ხოსროშვილის დარტყმულს და ტოგონიძის ხელიდან გავარდნილ ბურთს ვერ მიუსწრო მოსეშვილმა, რომელსაც მეკარემ აჯობა.

ტაიმი ასე დამთავრდა. თუმცა, შესვენებამდე ბოლნისელებმა კიდევ მოახერხეს გოლის გატანა: მოსეშვილი ტოგონიძესთან პირისპირ დარჩა და შეაგდო კიდეც, მაგრამ თანამსაჯმა ორდენიძემ ისე დააფიქსირა, ორმეტრიანი თამაშგარე, გასაკვირი არ იქნებოდა, ალამი საერთოდ არ აეწია. რატომ? ახლავე გეტყვით:

მატჩის შეწყვეტას ანუ იმ მომენტს, როცა ბათუმელმა ფეხბურთელებმა მოედანი დატოვეს, ერთი წუთი აკლდა. „ბათუმი“ მთელი გუნდით უტევდა „სიონი“, ცენტრსაც არ გადასცილებია და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ანგარიშის გათანაბრებას ხანიაშვილიც ვერ შეუშლის ხელსო, როცა უჯმაჯურიძე ზედ საჯარიმოს ხაზზე წააქციეს — შეყილაძემ ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი და უჯმაჯურიძეს გადააწოდა, მეფარიშვილმა კი ძიუდოს ილეთით ძირს დასცა. მუჯირმა ბურთი გაამზადა, კედელში ორი ბოლნისელი დადგა, დანარჩენები ხანიაშვილთან არჩევდნენ საქმეს. ამ დროს კი ერთ-ერთმა მასპინძელმა ფეხბურთელმა მთავარ მსაჯთან მიირბინა, ორდენიძეს შეხედეო — უთხრა, რომელსაც ალამი რატომღაც აღემართა. ხანიაშვილმა და ორდენიძემ მინი-თათბირი გამართეს, საბოლოოდ თამაშგარე დააფიქსირეს, ტულუში კი მსაჯთან კამათისთვის ყვითელი ბარათით დააჯილდოვეს. ბათუმელებს ნერვებმა უმტყუნა, თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. სტუმრები ჯარიმის დარტყმას მოითხოვდნენ, მაგრამ ხანიაშვილმა მეორედ აღარ შეცვალა გადაწყვეტილება. როგორც იქნა, თამაში გაგრძელდა, თუმცა, მხოლოდ ერთი წუთით. ბურთს მასპინძლები ფლობდნენ და მარჯვნიდან ცდილობდნენ შეტევას, როცა მეორე თანამსაჯის ჩოჩიშვილის აზრით შეყილაძემ თამაშის წესი დაარღვია. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ფაქტია, ხანიაშვილმა მასთან ახლოს მყოფი ტულუში მინდვრიდან გააძევა. სტუმრები ხანიაშვილს მისცვივდნენ და ვაიუშველებელი ატყდა. მოედანზე საქმის გარჩევა დაიწყო და იმით დამთავრდა, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა თამაში შეწყვიტეს. შემდეგ კი გასახდელში შესულმა ხანიაშვილმა არც შეყილაძე დაინდო და ტულუშის მსგავსად მასაც მოუწევს თასის ფინალის გამოტოვება. თუმცა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ფედერაცია გადაწყვეტს. „ბათუმმა“ კი, შესაძლოა, საერთოდ უარი თქვას თასის ფინალში თამაშზე.

**ნოდარ ანდრიაძე**, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

— უსიამოვნო ამბავი მოხდა და ალმასკომის უახლოეს სხდომაზე ყველაფერს განვიხილავთ.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— ჩემი აზრით ობიექტური მსაჯობა იყო. თამაში კი მას მერე აირია, როცა ხანიაშვილმა ჯარიმა დანიშნა, ორდენიძემ კი თამაშგარე დააფიქსირა.

**— სწორედ ამ ეპიზოდის კომენტარი მინდა გთხოვოთ...**

— როგორც დავინახე, ორდენიძემ ალამი მოგვიანებით აღმართა. ჩვენ ვიდეოფირზე გვაქვს ეს მატჩი გადაღებული და, თუ ყველაფერი დადასტურდა, ყველას მკაცრ პასუხს მოვთხოვთ.

**ანზორ გრძელიძე**, „სიონის“ მთავარი მწვრთნელი.

— „სიონმა“, მგონი, კარგად ითამაშა. ბიჭებით კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება ინციდენტს, ეს ჩემი ფეხბურთელების ბრალი არ არის. 26-ში „ბათუმს“ თასის ფინალი აქვს სათამაშო და რადგან ხანიაშვილმა უჯმაჯურიძე გააფრთხილა, ტულუში და შეყილაძე კი გააძევა, ამიტომ შეხვდნენ ამ ფაქტს ასე ემოციურად.

**— მსაჯობა ობიექტური იყო?**

— მგონი, კარგად იმსაჯეს.

**— ორდენიძის მიერ დაფიქსირებულ თამაშგარეზე რა აზრის ბრძანდებით?**

— ვერაფერს გეტყვით. მოშორებით ვიყავი და კარგად ვერ დავინახე.

**— ბათუმელთა მიერ მოედნის დატოვებაზე რას იტყოდით?**

— მოედნის დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**გელა შეყილაძემ**, როცა ვესაუბრე, მისი გაძევების შესახებ არაფერი იცოდა.

— ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი — უნდა წაგვეგო. პროვოკაცია მოგვიწყვეს და ჩვენც ავყევით. თუმცა ამაში დამნაშავე არც ჩვენ ვართ და არც „სიონის“ ფეხბურთელები. „სიონს“ არ ვამტყუნებ, გასავარდნად განწირული გუნდია და სხვანაირად ვერც ითამაშებდნენ. ეს ყველაფერი კი ვიცოდით და მზადაც ვიყავით, მაგრამ მსაჯმა... მსაჯი იმიტომ ხარ, რომ შენი ფუნქცია შეასრულო.

**— შენ რატომღა გაგაძევა?**

— არა, მე არ გავუძევებივარ და არც გავუფრთხილებივარ, ტულუში გააძევა.

**— სანამ მოედანს დატოვებდით, პირველი შენ მივარდი**



**შოთა ხანიაშვილისთვის მსგავსი ხათაბალა არახალია**

**ხანიაშვილთან.**

— რატომ გააძევა ტულუში, ის მინდოდა გამეგო. მან კი მეც და მთელ გუნდს შეგვაგინა.

**თემურ ტულუშმა** თავისი დანაშაული ნაწილობრივ აღიარა.

— არ ვიცი, რატომ გამაგდო მსაჯმა. ყვითელი, ვიცი, იმიტომ მომცა, რომ თანამსაჯს შევაგინე, მაგრამ რატომ გამაგდო, ვერაფრით გამიგია.

**როსტომ თორღაშვილი** გაურკვევლობაში იყო.

— არც კი ვიცი, ხანიაშვილის მოქმედებას რა ვუწოდო. რაში სჭირდებოდა ჩვენი წაგება, ვერ გამიგია. ფაქტობრივად ისე იყო საქმე, რომ გოლის გატანა აკრძალული გვქონდა. რატომ შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება მსაჯმა? იმიტომ, რომ იცოდა, ჯარიმის კარგი შემსრულებლები გვყავს. ან კიდევ, ის რაღა ღირს, მუჯირის რამდენჯერმე მოცელვისთვის ერთი ყვითელიც რომ არ ამოუღია?

**დავით უჯმაჯურიძე** სულაც გაოგნებული გახლდათ.

— თამაშგარე მდგომარეობა საიდან მოიგონეს, ვერ გამიგია. ბურთი შეყილაძემ მომაწოდა, ზუსტად პასის მომენტში წინ საგანგებოდ გავიხედე, ორი ბოლნისელი კართან ჩემზე ახლოს იყო. მივიღე ბურთი და კარისკენ წავედი, ამ დროს მცველმა ხელები მომკიდა და წამაქცია. ასპროცენტიანი ჯარიმა იყო. ეგ კი არა, ყვითელი ბარათიც უეჭველად უნდა ეჩვენებინა.

**— მთლიანად მსაჯობას როგორ შეაფასებ?**

— გაოგნებული ვარ. არც კი ვიცი, რა გითხრა. მოველოდით, რაღაც მსგავსი რომ იქნებოდა, მაგრამ ასეთი? ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით.

— 26 მაისს, თასის ფინალში ტულუში და შეყილაძე ვერ ითამაშებენ.

— საკითხავი ის არის, საერთოდ ვითამაშებთ თუ არა. ჯერჯერობით „დინამოსთან“ თამაშს არ ვაპირებთ. მომავალში რა იქნება ვერ გეტყვი.

**ბადრი ძეთილაძის ფოტო**

**მერაბ მამულაშვილი**

ბოლნისში ჩაშლილი მატჩის გამო 23 მაისს „ბათუმის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს შეხვდა. ამ შეხვედრის თაობაზე ვთხოვეთ მოეთხრო გუნდის უფროსს თამაზ ცინარიძეს.

— ახალკაცსაც შევხვდით და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანსაც. ჩვენ პრეტენზია გვაქვს მსაჯის მიმართ — „სიონთან“ შეხვედრა მან მიკერძოებით იმსაჯა. თამაშის ჩაშლაც ამის ბრალი იყო.

**— იქნებ მსაჯი მხოლოდ შეცდა და ეს მიკერძოებით არ მოსვლია? გამორიცხავთ ამას?**

— 26 მაისს თასის ფინალი რომ არ გველოდებოდეს, მსაჯის მოქმედებას მხოლოდ შეცდომად მივიჩნევდით და არა გამიზნულ მოქმედებად. მაგრამ ბოლნისში ორი მოთამაშე გაგვიძევეს, ერთიც გაგვიფრთხილეს და გუნდში შეიქმნა აზრი, რომ ეს ყოველივე განზრახ, გამიზნულად ხდებოდა, რათა თასის ფინალში „დინამოსთან“ დასუსტებულმა „ბათუმმა“ ითამაშოს. აქ სხვა ამბავიც არის, რომელსაც მე არ ვამართლებ — გუნდმა მოედანი დატოვა.

**— ეს ვისი ინიციატივით მოხდა?**

— ფეხბურთელებმა მიიჩნიეს, რომ ამგვარ ვითარებაში თამაში შეუძლებელი იყო, ერთმანეთს მხარი დაუჭირეს და მოედანიც დატოვეს. უფროსობამ თამაშის გაგრძელება ვთხოვეთ, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ. მატჩის მერე თასის ფინალში თამაშზე უარს ამბობდნენ. ამიტომაც, ყველა შეხვედრაზე ითქვა, რომ „ბათუმმა“ ფინალი აუცილებლად უნდა ითამაშოს, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ თასის ფინალში გამოსვლის უფლება ყველა მოთამაშეს მიეცეს. ამავე დროს, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ მოედნის დატოვებისთვის გუნდი დასასჯელია, თუმცა, არსებობს მსაჯის დასჯის ფორმაც.

**— რას მოითხოვთ?**

— ამ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვარ და თითოეულ ჩემს სიტყვას სუბიექტურად ჩათვლიან. მაგრამ, სულაც არ ვფიქრობ, რომ მხოლოდ ერთი მხარე უნდა დაისაჯოს, ჩვენ კი უცოდველები ვართ.

თუმცა, სასჯელის გამოტანა ფედერაციის პრეროგატივაა და ისინი უკეთ გადაწყვეტენ. ისე, როგორც ჯაგიდისს არ დაუტოვეს ყვითელი ბარათი და ამით სიმართლე დაიცვეს, სხვა გადაწყვეტილების შეცვლაც შეიძლება სიმართლის აღსადგენად.

**— ახალკაცმა რა თქვა?**

— ფეხბურთის კანონით, რაც უნდა მოხდეს, მოთამაშემ მოედანი არ უნდა დატოვოსო. ეს ფეხბურთელებს მეც ვეთხარი. ისინი ჩვენს დაუკითხავად მოიქცნენ ასე. თუმცა, ვიმეორებ, ამ ზომამდე ისინი მსაჯმა მიიყვანა. ასეთ პრინციპულ შეხვედრას უფრო კვალიფიციური მსაჯი უნდა ემსახურებოდეს, ისეთი, რომელიც იმაზეც იფიქრებდა, რომ „ბათუმს“ თასის ფინალი ჰქონდა სათამაშო.

**— რას გულისხმობთ? ფინალისწინა შეხვედრაში მოთამაშე ყვითელს რომ იმსახურებდეს, მსაჯმა არ უნდა დასაჯოს? მაშინ ხომ ბოლნისელები იტყოდნენ, ხანიაშვილი არაობიექტურიაო...**

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ხანიაშვილმა ყვითელი მაშინ ააფრიალა, როდესაც ჩვენს მოთამაშეს ეს არ დაუმსახურებია. ამას ჩვენების მწვავე რეაქცია მოჰყვა, რას შვრები, გვშლი ფინალის წინო? ამ დროს ამოუღო ტულუშს წითელი და ყველაფრის თავი და თავი ეს მომენტი გახდა. მატჩის ვიდეოჩანაწერი ასათიანმაც ნახა და ჩვენი აზრი გაიზიარა. ამის გამოა, რომ ვფიქრობთ, არის მცდელობა, „ბათუმმა“ ფინალში სრული შემადგენლობით ვერ ითამაშოს.

**— ვინ არის ამით დაინტერესებული? თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ასეთად „დინამოს“ იგულისხმებენ...**

— არა, ასე ვერ ვიტყვი. რაც არ ვიცი, იმას ვერ ვიტყვი. მხედველობაში მაქვს მხოლოდ მსაჯის მოქმედება, რომელიც სწორედ ჩვენი დასუსტებისკენ იყო მიმართული. საერთოდ, ყოველ შეხვედრაზე მომდევნო მატჩის გათვალისწინებით ვფიქრობ და ამის გამო ვარ მსაჯებზე გულნატკენი. თორემ „დინამოზე“ რა მაქვს საძრახად სათქმელი, უბრალოდ, ჩემი სატკივარი მაწუხებს.

მჯერა, ფედერაცია სწორედ ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, საქმეს რომ წაადგება და „ბათუმის“ ყველა მოთამაშეს ფინალში თამაშის უფლებას მისცემენ.

**— „სიონთან“ მატჩის მერე ზოგიერთისგან გავიგე, „ბათუმს“ ჩემპიონატში ჩაგრავენო. თქვენც იზიარებთ ამ აზრს?**

— მსგავსი არც მიგრძნია და ძალზე ცუდია, ამ საკითხს ზოგჯერ პოლიტიკურ კუდებს რომ გამოაბამენ ხოლმე. მე პირიქით ვიტყოდი — ფეხბურთის ფედერაციისგან, სპორტის დეპარტამენტისგან ყურადღებას და მხარდაჭერას ვგრძნობთ. ამაში ეჭვის შეტანა დიდი ცოდვა იქნებოდა.

**კახეთი 2:5 დინამო**

**თელავი. სტადიონი „გივი ჩოხელი“**
**კახეთი:** ასლანაძე, ე. ალადაშვილი, ჯიკაევი, ტარუღაშვილი, მაზანაშვილი (ბოჭორიშვილი 65), მესხიძე, ჯაშიაშვილი (ნაკუდაიძე 46), ფოფხაძე, შონია, ბაბულაიძე, ტოკლიკიშვილი
**დინამო:** ზოიძე, კალაძე (გუმბაშვილი 79), დავითნიძე, დიდავა, დ. მუჯირი (ალექსიძე 65), ჯ. გოგიჩაიშვილი, ზამთარაძე, ჩხაიძე, კერძევაძე (დიმიტრიშვილი 46), ყიზილაშვილი, დემეტრაძე
0:1 გოგიჩაიშვილი (10), 0:2 დემეტრაძე (15), 1:2 ფოფხაძე (32), 1:3, 1:4 დემეტრაძე (70, 72), 1:5 გოგიჩაიშვილი (24), 2:5 ტოკლიკიშვილი (90)
**გაფრთხილება:** შონია, ალექსიძე
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ოდიში 2:1 სამტრედია**

**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი**
**ოდიში:** ნაყოფია, ვახანია, გურჩუა, ქეცბაია(?), მიქაძე, ჭურღულია, ახვლედიანი (დიდიძე 80), კუტალია, ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე (სვირავა 85)
**სამტრედია:** ჩაჩუა, ანჯაფარიძე, ლორია, გეგეშიძე, პავლიაშვილი, გ. ქელიძე, ცომაია, მარკოზია, ფრანგიშვილი, იველიანი, ვეკუა
1:0 კალანდაძე (48), 2:0 კუტალია (72), 2:1 ცომაია (87)
**გაფრთხილება:** ქელიძე, მიქაძე, ახვლედიანი, მარკოზია
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

**ივერია 2:3 გორდა**

**ხაშური. სტადიონი „გრიგოლ ჯომართიძე“**
**ივერია:** გოგალაძე, ნვკერაშვილი, ქაჩუა (ფეშაძე 46), გურამ ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი, კალმახელიძე, ზირაქაძე, თორია
**გორდა:** მ. ქორიძე (კორომინაძე 46), ფაცურია, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, ბერიძე, მ. მელაძე, კედელაშვილი, კალუგა (ლაბაძე 60), თ. მეტრეველი (თ. მუშკუდიანი 55), კაციტაძე
0:1, 0:2 მელაძე (3, 6), 0:3 კალუგა (33), 1:3 თორია (65), 2:3 ჩადუნელი (68)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**გურია 3:1 მარგვეთი**

**ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი**
**გურია:** ბაბაშვილი, ლურწკაია, თოლორდავა, კუკულაძე, პატარაია, ლაშა ყოლბაია, გვარჯალაძე, განევი (ლევან ყოლბაია 69), გვიანიძე, კ. სიდამონიძე
**მარგვეთი:** მერკვილიშვილი, დ. ქელიძე, მ. მუმლაძე, გაბრიჭიძე, მალალურაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გეწაძე, მოსიკაშვილი (ნითელაშვილი 80), უგულავა, გუბელაძე (შავგულიძე 46)
1:0 თოლორდავა (9), 2:0 ყოლბაია (29), 3:0 გელაძე (71), 3:1 შავგულიძე (76)
**გაფრთხილება:** გვარჯალაძე
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხური თეთრის სუნი

**თსუ 0:2 კოლხეთი**

**თბილისი. სტადიონი „შევარდენი"**
**თსუ: ბათიაშვილი (ნ. სიდამონიძე 72), გიორგი ქორიძე, კობიაშვილი, ვერემჩუკი, თელიაშვილი, კანკავა, ნ. მინდიაშვილი, კობესაშვილი, ჩიგოშვილი, მელქაძე, როსტიაშვილი (სულთანოვი 46)**
**კოლხეთი: მ. გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ტორჩინავა, ფანჩულიძე, დ. მახარაძე (ბულუხია 84), ჯ. გვასალია (ლალანიძე 88), დარასელია (თიბილაშვილი 89), მ. ქობულაძე**
**0:1 დარასელია (28), 0:2 ტორჩინავა (57)**
**გაფრთხილება: ქორიძე, ტორჩინავა, კობიაშვილი, ფანჩულიძე, გვასალია**
**გაძევება: ტორჩინავა**
**მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)**

**მამუკა კვანტალიანი**

მატჩი რომ დაძაბული იქნებოდა, არავის აეჭვებდა. თბილისელთათვის ყველა ქულა ოქროდ ფასობს გაჭირვების გამო, სტუმრებმა კი ვერცხლის სუნი იყნოსეს და სამი ქულის გარდა არაფერი აინტერესებდათ. მოკლედ, გუშინწინ ორიდან ერთს უნდა წაეგო, ზავზე სტუმრებიც და მასპინძლებიც ხელებს ასავსავებდნენ.

შეხვედრის დებიუტი ფოთელებს კარგს არაფერს უქადდათ. ლორთქიფანიძეს მატჩის დაწყების ნიშანი ხეირიანად არც მიეცა, რომ თსუელები კინაღამ დაწინაურდნენ. საჯარიმოში ჩაკიდებული კობესაშვილმა თავით ქორიძეს მიაწოდა, ამან ბურთი მკერდით მიიღო, ჩამოიღო და გვასალიას მარჯვენა კუთხეში დაურტყა. ფოთელთა გოლკიპერმა თავი ისახელა, ბურთი კუთხურზე მოიგერია. მასპინძლები უპირატესობას კიდევ 10 წუთი ფლობდნენ, მერე კი სტუმრებმა თანდათან ააწყვეს თამაში და თსუელთა ახალგაზრდა კარის დარაჯიც შეაწუხეს. პირველად მიქაბერიძემ ვერ ივარგა. ტურამ ჰოლიწ გასატანად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ ბათიაშვილს ვერ აჯობა. მალე გვასალია დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ თბილისელები ისევ მეკარემ იხსნა, თუმცა, საჯარიმოდან გამოგდებული ბურთი მახარაძემ მოიგდო, მცველი ჩამოიცი ლა, ჩააწოდა, მცველებმა კი ჩაიძინეს და დარასელია, აბა, ამას როგორ აპატიებდა — აკრობატული ნახტომით, ჰაერში გაწოლილმა თავით გაიტანა. სტუმრები სიხარულით ცას ეწივნენ. მასპინძელთა თავკაცობა აშკარად შეცდა, დარასელიას პერსონალური მეურვე რომ არ მიუჩინა. ძუკუმაც შვება იგრძნო და ვერავინ დააკავა. ხელმტკივანიც დიდებული საქცერი იყო. ფილიამ ყველაფერი გამოიცნო, ფოთელებს მეტოქე ყოველმხრივ შეუსწავლიათ. ვერ გეტყვით, სტუმართა თავკაცს გულმა უგრძნო თუ რა იყო, მაგრამ მის ადგილზე ბევრი მეკარე გვასალიას არ გამოიყვანდა. მამუკას კლასში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ბოლო დროს უთამაშებელი მეკარის გამოყვანას არავინ გარისკავდა. მამუკამ კი გაამართლა და კარი მშრალად შეინახა. ტაიმის ბოლოს სტუმრებს დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ ძუკუს პასით პირისპირ გასულ მახარაძეს ბათიაშვილმა აჯობა.

მეორე ტაიმი ჯიგრიანი და საინტერესო კი იყო, მაგრამ უხეშიც გახლდათ. ლორთქიფანიძემაც არიგა ბარათები, მაგრამ ერთ მომენტში მაინც შეცდა. მოედნის ცენტრში სტუმარ-მასპინძელი შეიბნენ. სტუმარი დაჯარიმდა, მასპინძელმა, ეგ რად მაკადრეო და, ბურთი თავში ჩაარტყა. ატყდა გაწევ-გამოწევა. მსაჯმა სტუმარი დასაჯა, ყვითელი „უსახსოვრა", მასპინძელი კი დაუსჯელი დატოვა. არადა, მასზეც უპრიანი იქნებოდა ყვითელი ბარათი. მანამდე ფოთელებმა მეორედ იხეირეს. თბილისელთა კარის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა ტორჩინავამ ძლიერი დარტყმით გაიტანა. მასპინძლები მეკარეს კი დაემდურნენ, მაგრამ, დამერწმუნეთ, ბათიაშვილი უბრალო იყო. ბრალიანები ცოცხალ კედელში იდგნენ, დარტყმისას რომ დაიშალა და ბურთი გაუძვრათ. გოლის ავტორმა მეორე გაფრთხილების გამო მინდორი დატოვა. ეს რამდენიმე წუთში მოხდა, თუმცა კაცნაკლული სტუმრები უფრო შეიკრნენ და მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ დაშავებული ბათიაშვილის ნაცვლად გასულმა სიდამონიძემ მახარაძეს აჯობა. თბილისელებმა ბოლო იმედით შეუტიეს, მაგრამ ეტყობოდათ, განწირულები იყვნენ. ვერემჩუკის დარტყმა გვასალიამ აილო, მელქაძის დარტყმულს კაკაჩიამ დაუხვედრა ფეხი, გადმოვარდნილს და კობესაშვილის დამატებულსაც ისევ კაკაჩია გადაეფარა. თამაშის მერე თბილისელთა ერთმა ქომაგმა იხუმრა კიდეც, როგორ მოვიგებდით, ფოთელებს მატროსოვი ჩამოუყვანიათო. კოლხები თავიანთ გამარჯვებას არ გაუხარებია ისე, როგორც ბოლნისში „ბათუმის" მარცხმა გაახარა. მორჩა, ვერცხლი და უეფას თასზე თამაში ჩვენიაო. ვინ იცის, წინ კიდევ ერთი ტურია, იცინის კი ის, ვინც ბოლოს იცინის.



ფანჩულიძემ მელქაძეს (მარცხნივ) არაფერი დაუთმო

# თვალი ავჭალაში, ყური ბოლნისში

**მერანი 2:1 სამგურალი**

**თბილისი. სტადიონი „სინათლე"**
**მერანი: ნაჭყებია, ივანიშვილი, ქველაძე, გოგობერიშვილი (მაზიაშვილი 69), კაკუბავა, გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია (ბახტაძე 78), ჯიშკარიანი, ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი, დანელია (ბაკურაძე 74)**
**სამგურალი: თევზაძე, ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ა. მანაგაძე, თევდორაძე, ძაგნიძე, გელაშვილი, ბრეგვაძე, გოჩა კვარაცხელია, ხურცილავა, ჯანაშია (ფესტვენიძე 69)**
**1:0 ქორიძე (72), 1:1 გოჩა კვარაცხელია (79), 2:1 გოდერძიშვილი (80)**
**მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)**

**მერაბ მამულაშვილი**

თამაშს ვუყურებდი და ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს შენელებული კადრები მიდიოდა ჩემს თვალწინ. ავჭალაში შეკრებილნი მალიმალ თსუ — „კოლხეთისა" და „სიონი" — „ბათუმის" ანგარიშებსაც ვეცნობოდით. დიქტორი სიახლეს ემოციურად რომ გამოაცხადებდა, დამსწრენი ინაბებოდნენ, მოთამაშეები ჩერდებოდნენ, მერე მისი განწყობა ტრიბუნებსაც გადაედებოდა — სუნთქვაშეკრულნი გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე, მოთამაშენი გონებით კვლავ მოედანს უბრუნდებოდნენ. ამ დროს თითქოს კადრებიც ამოძრავდებოდა... „მერანის" ქომაგები, რაკილა ინტერტოტოს საგზური ჯიბეში ჰქონდათ, ახლა უეფას თასზე ოცნებასაც ბედავდნენ.

–წყალტუბოელებმა მასპინძლები დიდხანს გააწვალეს, დოლიძის, გოგიტაძის, გაბისონიასა და დავითაშვილის არყოფნამაც დაღი დაასვა „მერანის" თამაშს. თბილისელებმა „სამგურალის" მასირებული დაცვის გარღვევასა და კარის გასაღების ძებნას 72 წუთი მოანდომეს. სტუმრები მეტზე, ჩანდა, არც ოცნებობდნენ და კარს თვალისჩინივით თუ არა, საკმაოდ კარგად უფრთხილდებოდნენ. ეს აქტიური, ხისტი თამაშით შეძლეს, მასპინძლებს მაქსიმალურად შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების საშუალება და პირველი ტაიმის ნახევარზე მეტი თანაბრად ეთამაშნენ. თუმცა, შემდგომ თბილისელების უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა და რამდენიმე სახიფათო, მაგრამ უშედეგო კომბინაცია გაითამაშეს.

მეორე ნახევარში წყალტუბოელები ისე ყოჩაღად ველარ იბრძოდნენ, როგორც დასაწყისში და თამაშიც თანდათან ცალკარას დაემსგავსა. სტუმრები მხოლოდ ეპიზოდურად თუ შეაღწევდნენ ხოლმე „აკრძალულ" ზონაში. მერანელთაგან გოგიბერიშვილსა და ორჯერ გოდერძიშვილს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ისევ ამ მატჩის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ გელა ქორიძემ იყოჩაღა. კედლის გათამაშების შემდეგ ბურთს საჯარიმოში შეჰყვა და მეკარეს ახლოს, დაბალ კუთხეში გაუტანა. გოლს თითქოს სტუმრები უნდა გაეტეხა, მასპინძლები კი ბრძოლის ჟინზე მოეყვანა. მერანელები ხასიათზე კი მოვიდნენ, მაგრამ გოლმა მათ თამაშში ერთგვარი დაუდევრობაც შეიტანა. არ ვიცი, სხვა შემთხვევაში ფორტუნა ვის როგორ მოექცეოდა, თბილისელები კი დაისაჯნენ. სწრაფად გათამაშებული კონტრშეტევის შემდეგ გოჩა კვარაცხელია მცველებს დაუსხლტა და, მეკარე ნაჭყებიას მცდელობისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, ანგარიში გაქვითა. წყალტუბოელებმა ხეირიანად გახარებაც ვერ მოასწრეს, რომ მოედნის ცენტრიდან მასპინძლებმა თამაში განაახლეს და ბახვა ამბიძის ზუსტი გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა გოდერძიშვილმა ანგარიშს საბოლოო სახე მისცა. ამის შემდგომ მხოლოდ ამბიძის ერთობ ეფექტური, თუმცა არაზუსტად შესრულებული მაკრატელაღა იყო აღსანიშნავი. „მერანმა" მორიგი სამი ქულა მიითვალა და „სიონთან" ბათუმელთა მარცხის შემდეგ სამეულში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა გაუჩნდა, მაგრამ ფოთელთა გამარჯვებამ უეფას თასზე გასვლის იმედი თითქმის გადაუწურა. თუმცა, ყველაფერს მაინც ბოლო ტური გადაწყვეტს.

# შტემენ და აგებენ

**დილა 3:2 ტორპედო**

**გორი. ცენტრალური სტადიონი**
**დილა: მდივანი, აკოფიანი (ჯალაბაძე 60), რ. ხაჭაპურიძე (ტაბატაძე 46), წკრიალაშვილი, თარხნიშვილი, გაგნიძე, მარუხაშვილი (ფხალაძე 46), მჭედლიშვილი, რევაზიშვილი, კაიდარაშვილი, გ. გვაზავა**
**ტორპედო: მამარდაშვილი, ჯინჭარაძე, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, ი. ხუჯაძე, ს. გოგიაძე (ქებაძე 46), კვეტენაძე (ვაჩიბერაძე 46), ჯ. გიგიაძე, ი. ხაჭაპურიძე (კ. მეტრეველი 46), აშვეთია, შ. მუმლაძე**
**1:0 თარხნიშვილი (22 პ), 2:0 კაიდარაშვილი (34), 2:1 ჯ. გიგიაძე (47), 3:1 კაიდარაშვილი (68), 3:2 აშვეთია (83)**
**მსაჯი: ვ. სილაგავა (თბილისი)**

**იუზა კაციტაძე გორიდან**

გორში ქალაქის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მომიწია შესვლა. აქედან მოყოლებული, ლამის სტადიონამდე, უჩვეულო სურათი არ მოსცილებია თვალს: დატბორილი ქუჩები, ეზოები, ნაკვეთები... ამ გაგაგნია გვალვაში?! საქმეში უმალ გავერკვიე. თურმე მეოთხე დღე ყოფილა, რაც მდინარე ლიახვს კარალეთთან ძველი კალაპოტისკენ უბრუნებია პირი და ყველაფერს წალეკვით ემუქრება. წმინდა წყლის დასახლებაში ამ დღეებში ასობით ოჯახი დაზარალდა, ბევრი საერთოდ უსახლკაროდ დარჩა და მათ შორის მოთამაშის ჯამბულ გაგნიძის ოჯახიც.

რაღა თქმა უნდა, ჯამბულს სათამაშოდ არ ეცალა და მისი ოთხნომრიანი მაისური წკრიალაშვილმა მოირგო. სწორედ იგი გახდა „ტორპედოს" კარში გატანილი პირველი გოლის თანაავტორი. წკრიალაშვილს ნახევარდაცვის მარცხენა ფრთა ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ ერთხელ მარჯვენივაც გადაინაცვლა და სწორედ მაშინ აჰკიდა პენალტი ირკლი ხუჯაძეს. მამარდაშვილი მიუხვდა დარტყმის მიმართულებას გორელთა კაპიტან თარხნიშვილს, მაგრამ გადამხტარმა მხოლოდ თითები წაჰკრა ბურთს. ამ მომენტამდე სათამაშო უპირატესობა სტუმრებისა იყო და ეს მეტწილად კვეტენაძის და აშვეთიას აქტიურობის წყალობით. ქუთაისელთა ბომბარდირი სამჯერ გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე მაგრამ ვერ იხეირა, მე-12 წუთზე კი კვეტენაძის დარტყმული ძელს მოხვდა. ტორპედოელები დაცვაში ვერ ვარგოდნენ, თორემ ინიციატივას შემდგომშიც ისინი ფლობდნენ. კაიდარაშვილმა რომ ანგარიში გააორმაგა, სწორედ ქუთაისელ მცველთა შეუთანხმებელი მოქმედების გამო იყო. ტაიმის მიწურულს ირაკლი ხაჭაპურიძე-კვეტენაძე-აშვეთიას სწრაფ და ლამაზ კომბინაციას ამ უკანასკნელის თაური მოჰყვა, თუმცა ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. მერე ჯინჭარაძემ შორიდან შეამოწმა გორელთა მეკარე მდივნის მზადყოფნა, რომელმაც ძლიერად დარტყმული კუთხურზე მოიგერია.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ერთდროულად სამი ახალი მოთამაშე შეიყვანეს. პირველივე შეტევისას ვაჩიბერაძის მარჯვენიდან ჩაწოდებული ბურთი ვასო გიგიაძემ 18 მეტრიდან მოხდენილად და ზუსტად დაარტყა. თამაში ისე გაგრძელდა, სტუმრებს ანგარიში უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ პირიქით მოხდა. ამჯერად შალვა ხუჯაძემ წაიფორხილა და ორი გორელი — გვაზავა-კაიდარაშვილი დარჩნენ მამარდაშვილთან პირისპირ. მეკარემ ვერაფერი იღონა.

ტორპედოელები მარცხს შეეგუვნენო, ვერ იტყოდი, მაგრამ არც ისე გაუმწვავებიათ თამაში, მასპინძლებს პრობლემები შექმნოდათ. ეგ იყო, აშვეთიამ ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი მუმლაძის გადაცემით ისარგებლა და მაინც გაიტანა თავისი.



მერანელები პირველი გოლის გატანას ზეიმობენ

# შენ გელიან ნაკრებნი

**საქართველო 6:2 სომხეთი**

**ამხანაგური მატჩი**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი**
**საქართველო: ლომაია (კუპატაძე 85), აბრამიძე (ჩანადირი 86), შაშიაშვილი, ბაქრაძე (მერებაშვილი 76), ხარებავა, მხალაძე (ხუციშვილი 46), კვარაცხელია (ნინუა 62), აფციაური, კორღალიძე (იოსავა 62), გაგუა (მიქაძე 55), შენგელია (ჯოჯუა 65)**
**სომხეთი: კასპაროვი (დავთიანი 62), ბაგოიანი, ს. მინასიანი (აიკ კოფიანი 84), აშ. გრიგორიანი, ატოიანი, ე. ერზრუმიანი (ელოიანი 62), ჯენებიანი (სიმონიანი 78), ი. ერზრუმიანი (გ. გრიგორიანი 84), არამ აკოფიანი, არაიკ კოფიანი, ა. მინასიანი (არ. გრიგორიანი 37)**
**1:0 შენგელია (2), 2:0 კორღალიძე (19), 2:1 ე. ერზრუმიანი (38), 3:1 გაგუა (44), 4:1 მიქაძე (56), 5:1 შენგელია (60), 5:2 ი. ერზრუმიანი (75), 6:2 მიქაძე (85)**
**გაფრთხილება: ა. მინასიანი, ახალაძე, არაიკ აკოფიანი, ბაქრაძე, ნინუა**
**გაძევება: ნინუა**
**მსაჯი: მ. კობიაშვილი (საქართველო)**

**ვახტანგ ბზიკაძე**

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის თვრამეტ წლამდე ნაკრებთან ორივე გამარჯვება ქართველთა მთელმა გუნდმა გამოსჭედა, შეიძლება ითქვას, მეზობლები პირადად შენგელიამ მოიმინელა. ორ თამაშში გატანილი 9 გოლიდან 5 სწორედ გიორგი შენგელიას ანგარიშზეა. პირველ მატჩში სამივე რომ თავად გაიტანა, ამაზე უკვე ვწერდით, ჰოდა, გუშინწინაც მეტოქეს გამარჯვების თქმა არ აცალა, დაბნეული მცველის საჩუქარი შეირგო და ანგარიში მეორე წუთზევე გახსნა. გგონიათ, ეს იკმარა და მოისვენა? სამ წუთში აფციაურის ჩაწოდებულზე კორღალიძის პასი ერთი შეხებით გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ოდნავ ააცილა. მე-10 წუთზე კი მარჯვენა ფლანგზე ორი მცველი გაამასხარავა, ჩააწოდა, კვარაცხელიას თაური კი მეკარემ კუთხურზე მოიგერია. შენგელიამ ჟინი ვერ დაიოკა, გზნება თანაგუნდელებსა გადასდო და მეორე გოლშიც მნიშვნელოვანი წილი დაიდო — ახალაძის ჩაწოდებული ბურთი თავით საჯარიმოშივე გადაუგდო კორღალიძეს, რომელმაც გატანა არ დააზანა. თითქოს ესტაფეტა გადასცესო, ახლა კორღალიძე გააქტიურა, მანაც, რასაცა გასცემ შენიას პრინციპით იმოქმედა და, ტაიმის ბოლოს ცენტრალურ მცველებს შორის უყურადღებოდ დარჩენილ გაგუას შეუყოლა ბურთი, მან კი გატანილი გოლები გაასამა. ქართველებმა სამი კი გაიტანეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო დიდი ანგარიში, რადგან მანამდე ჩვენი დაცვის მარჯვენა ფლანგიდან სომხებმა ერთ-ერთი წარმატებული რეიდი განახორციელებ და ცენტრალურმა მცველებმაც და მეკარემაც საკმაოდ მარტივ სიტუაციაში გაატანინეს ერზრუმიანს.

ბარემ ახლავე ვიტყვი, რომ ხანდახან შეტევაში გართულ-ჩართული ქართველთა დაცვა ერთობ სცოდავდა, მაგრამ ამათ ნამუსს ხან ლომაია უნახავდა და ხანაც უზუსტოდ დამრტყმელი სომეხთა თავდამსხმელები. საყვედური ყველაზე ნაკლებად ცენტრალურ მცველებს — შაშიაშვილ-ბაქრაძეს ეთქმით, რომლებიც დაცვასაც კარგად ახერხებდნენ და იერიშზე გადასვლასაც

ქართველთა თამაშში სასიამოვნო იყო იმის ხილვა, რომ დაწინაურებული გუნდი ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, მთლად სტატისტები არც სომხები იყვნენ. ესენი, სულ მცირე, ექვსჯერ სახიფათოდ დაემუქრნენ მასპინძელთა კარს. ეგ იყო მათი დაცვა და მეკარე სცოდავდნენ. და მაინც, ასეთი გუნდთანაც აუცილებელია ბოლომდე ბრძოლა და ქართველებმა ეს იცოდნენ. მეორე ტაიმში იცვლებოდა შემადგენლობა, მაგრამ არ იცვლებოდა გუნდის თამაშის სტილი. დიახ, სტილი. გავბედავ და ვიტყვი, რომ საქართველოში არცერთი გუნდი არ იბრძვის ისე ჟინიანად, არ აკეთებს იმდენ „პადკატს", არ ქმნის იმდენ სახიფათო მომენტს, და ბოლოს, არ გააქვს იმდენი, რამდენიც თვრამეტწლამდელთა ნაკრებს. კოპალეიშვილის ბიჭები თავითაც კარგად თამაშობდნენ, სივრცესაც გონივრულად, სათავისოდ იყენებენ, მეტოქეს კი, პირიქით, უზღუდავენ მას.

„ახალი თამაშის" დასაწყისად მეორე ტაიმის მე-10 წუთი შექმნა. შეცვლაზე შესულმა მიქაძემ ჯარიმისას კვარაცხელიას მიერ ბრძოლაში მოგებული ბურთი შორიდანვე გაგზავნა კარში, რასაც ხუთ წუთში კორღალიძის ჩინებული პასი და შენგელიას კარზე დაგეშილობის კიდევ ერთი დემონსტრირება მოჰყვა. თამაში ოდნავ დაძაბა ქართველთა ათი კაცით დარჩენამ — ნინუა უხეში თამაშისთვის გააძევეს, იმ ჯარიმიდან დარტყმულით კი ერზრუმიანმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ქართველებმა სომხები სამ გოლზე ახლოს არ მიიკარეს. 85-ე წუთზე მიქაძემ ორი მცველი ერთმანეთს დაატაკა, თვითონ დასხლტა, გრძელი პასი კარგად „მოარჯულა" და თამაშს წერტილი დაუსვა.

# ასეული და ასისთავი

ინგლისში ყოველთვიურად გამოიცემა საფეხბურთო ჟურნალი „გოლი“. ბრიტანული ადათის მიხედვით, დეკემბრის ბოლოს გამოსულ ნომერს იანვრისა ჰქვია, იანვრის ბოლოსას თებერვლისა და ა. შ. ახლა მაისი ილევა და შესაბამისად მაგიდაზე ივნისის „გოლი“ გვიდევს, რომლის 32-ე გვერდზე დიდრონი ასოებით წერია „ბრიტანეთის 100 საუკეთესო უცხოელი“. სათაურის ქვეშ ასეთი შესავალია: „ეს სეზონი უცხოელ ტალანტთა თვალსაზრისით საგანგებო იყო. მთელი მსოფლიოდან უკვე 250-ზე მეტმა მოთამაშემ მოიყარა ბრიტანეთში თავი. ვინ არიან ისინი და რას აკეთებენ ჩვენს ფეხბურთში? ჩვენ 110 საფეხბურთო მიმომხილველს გავესაუბრეთ. „აბერდინ პრესით“ დაწყებული და „თორქვი ჰერალდ ექსპრესით“ დამთავრებული, ყველამ გამოთქვა აზრი უკლებლივ ყველა გუნდის უკლებლივ ყველა უცხოელ წევრზე. მათ ასი საუკეთესო შეაფასეს და შედეგად ბრიტანული იმპორტის არნახულად სრულყოფილი დახასიათება შემოგვთავაზეს“.

ამ შესავლის შემდეგ ჟურნალი იწყებს ასეულის ჩამოთვლას. იწყებს მეასე კაცით და პირველამდე ჩადის. თითოეულ ფეხბურთელს თან თითოაბზაციანი დახასიათება ერთვის. მეასედან ოცდამეათემდე ეს აბზაცი შედარებით მოკლეა. მეოცედან მეათემდე უფრო მოზრდილი, ხოლო მეათედან პირველამდე კიდევ უფრო დიდი. სამად სამი ფეხბურთელია, რომელთა ამბავი ცალკე წერილადაა მოთხრობილი. ისინია ჯანფრანკო ძოლა, რომელმაც გამოკითხვაში პირველი ადგილი დაიკავა, მეათედ დასახელებული ბრიან ლაუდრუპი და ქართველთა გასახარად გიორგი ქინქლაძე, ნომერი ოცდაათი.

წერილს გიოს შესახებ შესავლად ერთი წინადადება აქვს წამძღვარებული: „მომავალში რაგინდ მოხდეს, ქართველმა ნახევარმცველმა „მეინ როუდის“ ღირსების დარბაზში თავისი ადგილი დაიმკვიდრა“. შემდეგ კი მოდის ის, რაც ინგლისურ პრესაში უამრავჯერ დაწერილა და „სარბიელის“ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ. ესაა ომიანი საქართველოს ამბავი და ის, თუ როგორ მოხვდა მისი ქვეყნისთვის უმძიმეს დროს ქინქლაძე ინგლისში. როგორ იზრდებოდა ფეხბურთელი თბილისში, როგორ სწავლობდა ბურთაობას, როგორ თამაშობდა „დინამოსა“ და „ზაარბრიუკენში“, ერთხელ კი გასასინჯად არგენტინაშიც გააქანეს. მანჩესტერში პირველად ჩასულ გიოს უთქვამს, რუსულის მცოდნე თარჯიმანი არ მომიყვანოთ, მხოლოდ ქართულად ვილაპარაკებო, რაც მისი პრინციპული, პოლიტიკური პოზიცია ყოფილა, თანდათან კი ინგლისურადაც კარგად ალაპარაკებულა და ა. შ.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ცალკე წერილია, რაც უთუოდ მრავლისმეტყველი ფაქტი გახლავთ, გიორგი ქინქლაძე წინა სეზონის ბოლოს ასეთსავე სიაში მეორე იყო. შარშან მას მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გმირმა ერიკ კანტონამ გაასწრო. ისე კი, ოცდარვა ადგილით დაქვეითება ერთი მხრივ გასაგებიცაა — ქინქლაძის „სიტი“ პრემიერლიგაში აღარ არის და ბრიტანეთის საფეხბურთო ელიტაში ველარ ტრიალებს. ის კი არა, ყველამ იცის, რა რთული და უიღბლო სეზონი ედგა მანჩესტერის ამ გუნდს.

ჟურნალის ყველაზე დიდი წერილი, კი თავისთავად ცხადია, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, ლონდონის „ჩელსისა“ და იტალიის ნაკრების ვარსკვლავს ჯანფრანკო ძოლას ეხება. გთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს.

...შარშან, როდესაც გამოცხადდა, რომ პრემიერლიგაში ფაბრიციო რავანელი და ჯანლუკა ვიალი გადმოდიოდნენ, ამ ორი სახელოვანი და დიდი კონტინენტელი ფეხბურთელის მოლოდინში ბევრს სუნთქვა შეეკრა. ისინი მოაზროვნეთათვის კლასიკური, გადაპარსული თავებით, ხაზგასმით მშვიდად იდგნენ ფოტო და ტელეკამერების წინ. სწორედ ასე უნდა წარმოჩენილიყვნენ ამაყი იტალიელები, რომელთაც ალბათ მაინც გული დაწყდათ, სამშობლოში ასე რომ შეელიენ.

ძოლა სხვა საქმე იყო. მისი ლონდონში ჩამოსვლის წინ უკლებლივ ყველა გაზეთი წერდა, რომ იგი მეტისმეტად დაბალია. ის კი საოცრად ფართოდ იღიმებოდა, ჰქონდა მუყაოს ყბა და ჭრელ ჯემპრებს იცვამდა. პრესამ მისი თამაშის დასახასიათებლად ხელად მიაგნო ხერხს: ვიალი დარბის, ძოლა კი დაცუნცულებს — წერდნენ გაზეთები.




ძოლა და მისი მეუღლე ფრანკა ლონდონში ნოემბერში ჩამოვიდნენ და მას მერე კამერებისთვის სახე არ აურიდებიათ. ასეთია ჯანფრანკოს ბუნება. „ბავშვივით ვარ, სულ აქეთ-იქით ვიყურები და რაღაც ახლის დანახვას ვლამობ“ — ამბობს იტალიელი, რომლისთვისაც ლონდონში, სახლის შემდეგ, საყვარელი ადგილი პიკადილია — „მიყვარს მაღაზიებში სიარულიც. საამისოდ ხშირად „სეინსბრიში“ დავდივარ ხოლმე“.

ძოლა იმ იშვიათ იტალიელთაგანია, რომელიც ლონდონში დამზადებულ იტალიურ კერძს, პასტას არ იწუნებს და ამბობს, მისი იტალიიდან ჩამოტანა სისულელეაო. სახლი მან და ვიალიმ ერთად, ბელგრავიაში შეირჩიეს, მაგრამ ვიალისგან განსხვავებით უპრეტენზიო ძოლამ სასურველს იოლად მიაგნო.

ვარჯიშების შემდეგ (ჩელსის საწვრთნელი ბაზა „იმპერიალ კოლეჯი“ ჰითროუს აეროპორტთანაა), ჯანფრანკო სიამოვნებით არიგებს ავტოგრაფებს და სანამ უკანასკნელ მთხოვნელს არ დააკმაყოფილებს, ფეხს არ იცვლის. მასში საოცრადაა შერწყმული აღფრთოვანებული ტურისტი და საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი პროფესიონალი. ის ინგლისელივით თავმდაბალია და ლონდონში თავს უცხოელად არ გრძნობს.

## ძოლას გზა

ინგლისელები ძოლას ერთიორად აფასებენ, როდესაც მის ბიოგრაფიას ეცნობიან. იგი იტალიის განვითარებულ ნაწილში არ დაბადებულა, მის სოფელს ოლიენა ჰქვია და ის კუნძულ სარდინიაზეა, ეს კი ისეთი ადგილია, სადაც დიდი გუნდების მზვერავები საერთოდ არ ჩადიან. თავად ძოლას თქმით, იქ ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთს თავს ანებებს, რადგან პერსპექტივას ვერ ხედავს.

ჯანფრანკომ კარიერა სერია C2-ში მოთამაშე ადგილობრივ „ნუორეზეში“, დაიწყო, საიდანაც სერია C1-ის „ტორესში“ გადავიდა. 1989 წელს იგი 200 ათას გირვანქად „ნაპოლიმ“ შეიძინა. 1993 წელს ნეაპოლელთა ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა და გამოსავლად ძოლას „პარმასთვის“ მიყიდვა მოიფიქრეს. ასე მოხვდა სარდინიელი ჩრდილო იტალიაში, სადაც განვითარებულ ქალაქში ცხოვრებას აუღო ალღო, რაც შემდეგ ლონდონთან შეგუებაში ფრიად დაეხმარა. „პარმაში“ მაშინ მწვრთნელად ნევიო სკალა მუშაობდა, რომელმაც ძოლა თავდასხმაში წაწია და 1994-95 წლების სეზონში ჯანფრანკომ გაიბრწყინა. შემდეგ ცხოვრება გართულდა. „ყველაფრის თავი და თავი 1996 წლის 19 ივნისს, ევროპის ჩემპიონატზე, გერმანიასთან ვერგატანილი პენალტი იყო — ამბობს ძოლა — პარმაში დაბრუნებულმა ვიგრძენი, რომ ხალხი ეჭვით მიყურებდა. წლევანდელი სეზონი თითქოს კარგად, სამი თავდამსხმელით დავიწყეთ, მაგრამ ნელ-ნელა პირველობაზეც დავქვეითდით და შინაური და ევროპული თასებიდანაც გამოვვარდით. გუნდში ცუდი ატმოსფერო იყო“.

და ძოლას ფასი დაეკარგა. ერთი წლის წინ, „ჩელსის“ მაშინდელი მწვრთნელი გლენ ჰოდლი მის საყიდლად იტალიაში რომ ჩავიდა, 10 მილიონი გირვანქა მოთხოვეს. ახლა ახალმა თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ თითქმის ნახევარ ფასად მიყიდა იმავე „ჩელსის“ იგივე ძოლა.

## გულიტი ამბობს

გულიტი ამბობს, რომ მას სულაც არ გაკვირვებია „გოლის“ რეფერენდუმში ძოლას გამარჯვება. „ახლა იტალიაში თავში ხელს იცემენ, მაგის გაშვება როგორ შეიძლებოდაო — ამბობს „ჩელსის“ მწვრთნელი. იტალიური ჟურნალი „გუერინ სპორტივო“ წერდა, ძოლასნაირები იტალიური ფეხბურთის სახეს ქმნიან და მათი ქვეყნიდან გაშვება დაუშვებელიაო. თავად ფეხბურთელი უარყოფს, რომ იგი ინგლისში და გასამდიდრებლად გადმოვიდა. „პარმაში ბევრი პრობლემა შეიქმნა და საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ მათ ჩემი გაშვება გადაუჭრიდათ. ასე ვამჯობინე მეც. იმ ამბების გახსენება ცოტათი ახლაც მტკენს გულს, მაგრამ რაც იყო, იყო. ახლა აქ ვარ და რასაც ვეძებდი, ყველაფერი მაქვს. ცხადია, ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები მენატრებიან, მაგრამ ლონდონში ბევრი რამაა ისეთი, რაც იტალიაზე იშვიათად მაფიქრებინებს.“

„ჩელსის“ „არსენალთან“ შინ 0:3 წაგების მეორე დღეს ვარჯიშის მერე ძოლა და ვიალი მოედანზე მარტონი დარჩნენ. ისინი დრიბლინგში ვარჯიშობდნენ, საგანგებო ფიგურებს ბურთით აქეთ-იქიდან ურბენდნენ. აი, იქ გამოჩნდა განსხვავება ორ იტალიელს შორის. ვიალის მოძრაობები უფრო მკვეთრი იყო, იგი მახვილი კუთხეებით უვლიდა ფიგურებს, ძოლა კი მსუბუქი შეხებით ბურთს საჭირო ტრაექტორიით აგზავნიდა და წინაალმდეგობებს გაცილებით ახლოს „ჩაუცუნცულებდა“ ხოლმე.

„ჩემი ტანმორჩილობა წონასწორობის დაცვაში მეხმარება. არა მგონია, ფეხბურთის კარგად სათამაშოდ სიმაღლე და ზორბა ტანი აუცილებელი იყოს. ყველა უნდა მიხვდეს, რა გამოუვა კარგად. დაბალმა სისწრაფე და ბურთის ფლობა უნდა გამოიმუშავოს, მაღალი კი საჰაერო ბრძოლებში უნდა იწაფებოდეს. დაწვრილებით უნდა იცოდე საკუთარი თავის ამბავი“ — ამბობს ჯანფრანკო.

## ენა

ძოლა ენამოსწრებული კაცია. ფოტოგრაფები განკარგულებებს იძლევიან: „თავი ასწიე“, „გაიღიმე“, „პირი დახურე“... ჯანფრანკო უეცრად პასუხობს: „მართალია, დიდი პირი მაქვს, მაგრამ მეყურების ამბავი უფრო მაწუხებს, მათ რა ვუყო?“

ყველაზე კარგი „შეფილდ უენსდეისთან“ მატჩში იყო. პიტერ აზერტონი ძოლას პერსონალურად, მჭიდროდ მეურვეობდა და ერთ-ერთ მომენტში თავმომწონედ ჰკითხა: „რას იტყვი?“

„ცოლთან ჩახუტება გაცილებით მირჩევნია“ — იყო პასუხი.

...თავიდან, „ჩელსიში“ რომ მოვიდა და მაისური მოირგო, ცხადია დიდი აღმოაჩნდა, ჩაძვრა შიგ. „ჰო, მაისურების დაპატარავება მოუწევთ“ — იხუმრა ჯანფრანკომ. მას ეკითხებიან ხოლმე, მეტ სიმაღლეს თუ ნატრობო, ის კი პასუხობს — თავს ყოველთვის დიდ კაცად ვგრძნობდიო.

## ჩვენი კაცი

თებერვალში „უემბლიზე“, მსოფლიოს პირველობის შესარჩევში, ინგლისის ნაკრების კარში ერთადერთი, გამარჯვების გოლი იტალიელთაგან ძოლამ გაიტანა. „გუერინ სპორტივო“ მერე წერდა: „ჯანფრანკომ თავისი ინგლისი დაამარცხა.“

რატომ არ ამბობენ ასე დი მატეოსა და რავანელიზე?

იმიტომ, რომ ძოლა მართლა ჩვენია.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ჯანფრანკო ძოლა | ჩელსი | იტალია |
| 2. | ჟუნინიო | მიდლსბრო | ბრაზილია |
| 3. | ერიკ კანტონა | მანჩესტერ იუნაიტედი | საფრანგეთი |
| 4. | პიტერ შმაიხელი | მანჩესტერ იუნაიტედი | დანია |
| 5. | ფრანკ ლებეფი | ჩელსი | საფრანგეთი |
| 6. | ფაბრიციო რავანელი | მიდლსბრო | იტალია |
| 7. | ოლე გუნარ სოლსკიაერი | მანჩესტერ იუნაიტედი | ნორვეგია |
| 8. | დენის ბერხკამპი | არსენალი | ჰოლანდია |
| 9. | პატრიკ ვიეირა | არსენალი | საფრანგეთი |
| 10. | ბრიან ლაუდრუპი | გლაზგო რეინჯერსი | დანია |
| 11. | პაოლო დი კანიო | სელტიკი | იტალია |
| 12. | ალიოშა ასანოვიჩი | დერბი ქაუნთი | ხორვატია |
| 13. | ფაუსტინო ასპრილია | ნიუკასლი | კოლუმბია |
| 14. | რობერტო დი მატეო | ჩელსი | იტალია |
| 15. | ოივინდ ლეონარდსენი | უიმბლდონი | ნორვეგია |
| 16. | სტიგ ინგე ბიორნებიუ | ლივერპული | ნორვეგია |
| 17. | სლავენ ბილიჩი | ვესტ ჰემი | ხორვატია |
| 18. | ჰენინგ ბერგი | ბლექბერნი | ნორვეგია |
| 19. | ბენიტო კარბონე | შეფილდ უენდსეი | იტალია |
| 20. | ემერსონი | მიდლსბრო | ბრაზილია |
| 21. | ლიონელ პერესი | სანდერლენდი | საფრანგეთი |
| 22. | რონი იონსენი | მანჩესტერ იუნაიტედი | ნორვეგია |
| 23. | იორგ ალბერტსი | გლაზგო რეინჯერსი | გერმანია |
| 24. | არიან დე ზიუ | ბარნსლი | ჰოლანდია |
| 25. | ჟორჟ კადეტე | სელტიკი | პორტუგალია |
| 26. | რობერტო მარტინესი | ვიგანი | ესპანეთი |
| 27. | სტეფან ივერსენი | ტოტენჰემი | ნორვეგია |
| 28. | ფერდინანდ ნელსონი | ასტონ ვილა | პორტუგალია |
| 29. | მაურიციო ტარიკო | იფსვიჩი | არგენტინა |
| 30. | გიორგი ქინქლაძე | მანჩესტერ სიტი | საქართველო |
| 31. | ისიდრო დიასი | ვიგანი | ესპანეთი |
| 32. | ედინიო | ბრედფორდი | ბრაზილია |
| 33. | ალფ-ინგე ჰაალანდი | ნოტინგემი | ნორვეგია |
| 34. | დუაიტ იორკი | ასტონ ვილა | ტრინიდადი |
| 35. | ემილ ორტენსტადი | საუთჰემპტონი | ნორვეგია |
| 36. | კილ ლაითბორნი | ვოლსოლი | ბერმუდა |
| 37. | პიოტრ კაჩურო | შეფილდ იუნაიტედი | ბელარუსი |
| 38. | სტეფან პუნვოში | ქარლაილი | საფრანგეთი |
| 39. | იგორ შტიმაცი | დერბი ქაუნთი | ხორვატია |
| 40. | პერ ფრანდსენი | ბოლტონი | დანია |
| 41. | ზიბ დექსტრა | დანდი იუნაიტედი | ჰოლანდია |
| 42. | პატრიკ ბერგერი | ლივერპული | ჩეხეთი |
| 43. | მარკ ბოზნიჩი | ასტონ ვილა | ავსტრალია |
| 44. | ლარუს სიგურსონი | სტოკ სიტი | ისლანდია |
| 45. | დან პეტრესკუ | ჩელსი | რუმინეთი |
| 46. | დეიან სტეფანოვიჩი | შეფილდ იუნაიტედი | სერბია |
| 47. | ბიორნ ტორე კვარმე | ლივერპული | ნორვეგია |
| 48. | მიქელ ბეკი | მიდლსბრო | დანია |
| 49. | იაკობ ლაურსენი | დერბი ქაუნთი | დანია |
| 50. | მარკ შვარცერი | მიდლსბრო | ავსტრალია |
| 51. | ჰოლ აგოსტინო | ბრისტოლი | ავსტრალია |
| 52. | ალან ნილსონი | ტოტენჰემი | დანია |
| 53. | ეილ ბერკოვიჩი | საუთჰემპტონი | ისრაელი |
| 54. | გუს ველბეკი | იფსვიჩი | ჰოლანდია |
| 55. | ჯანლუკა ვიალი | ჩელსი | იტალია |
| 56. | ულრიხ ვან გობელი | საუთჰემპტონი | ჰოლანდია |
| 57. | ფილიპ ალბერი | ნიუკასლი | ბელგია |
| 58. | იან აგე ფიორტოფტი | შეფილდ იუნაიტედი | ნორვეგია |
| 59. | ჟილ რუსე | ჰართსი | საფრანგეთი |
| 60. | რეჯი ბლინკერი | შეფილდ უენსდეი | ჰოლანდია |
| 61. | ერიკ პედერსენი | დანდი იუნაიტედი | ნორვეგია |
| 62. | კილ ოლოფსონი | დანდი იუნაიტედი | შვედეთი |
| 63. | ენდი პეტერსონი | ჩარლტონი | ავსტრალია |
| 64. | პიერ ვან ჰუიდონკი | ნოტინგემი | ჰოლანდია |
| 65. | დავიდ ჟინოლა | ნიუკასლი | საფრანგეთი |
| 66. | შონ გოტერი | ბრისტოლი | ბერმუდა |
| 67. | ლუის მიგელ კავამუ | სტოკპორტი | პორტუგალია |
| 68. | კევინ მუსკატი | კრისტალ პალასი | ავსტრალია |
| 69. | ჯანლუკა ფესტა | მიდლსბრო | იტალია |
| 70. | კენ მოკუ | საუთჰემპტონი | ჰოლანდია |
| 71. | როდნი ჯეკი | თორქვი იუნაიტედი | ბარბადოსი |
| 72. | კეისი კელერი | ლესტერი | აშშ |
| 73. | მარკ ლიპერი | ვესტ ჰემი | დანია |
| 74. | იოაკიმ ბიორკლუნდი | გლაზგო რეინჯერსი | შვედეთი |
| 75. | რობერტ მოლენაარი | ლიდსი | ჰოლანდია |
| 76. | ლუდეკ მიკლოშკო | ვესტ ჰემი | ჩეხეთი |
| 77. | კარელ პობორსკი | მანჩესტერ იუნაიტედი | ჩეხეთი |
| 78. | როჯერ ნილსენი | შეფილდ იუნაიტედი | ნორვეგია |
| 79. | ჯეისონ კირტონი | ქრუ ალექზანდრა | ავსტრალია |
| 80. | შაკა ჰისლოპი | ნიუკასლი | ტრინიდადი |
| 81. | კრეიგ მური | გლაზგო რეინჯერსი | ავსტრალია |
| 82. | სავო მილოშევიჩი | ასტონ ვილა | სერბია |
| 83. | რიჩარდ სნიკსი | ვესტ ბრომვიჩი | ჰოლანდია |
| 84. | რობინ ვან დერ ლაანი | დერბი ქაუნთი | ჰოლანდია |
| 85. | უგო პორფირიუ | ვესტ ჰემი | პორტუგალია |
| 86. | გუნარ ჰალე | ლიდსი | ნორვეგია |
| 87. | გეორგ დონისი | ბლექბერნი | საბერძნეთი |
| 88. | ლუკას რადებე | ლიდსი | სამხ. აფრიკა |
| 89. | იურგენ ზომერი | ქუინზ პარკი | აშშ |
| 90. | ერიკ ბო ანდერსენი | გლაზგო რეინჯერსი | დანია |
| 91. | გორდონ პეტრიჩი | გლაზგო რეინჯერსი | სერბია |
| 92. | კლინტ მარსელი | ბარნსლი | ტრინიდადი |
| 93. | ბენი გალი | შრუსბრი | დანია |
| 94. | რონ ვილემსი | დერბი ქაუნთი | ჰოლანდია |
| 95. | იან მიოლბიუ | სუონსი | დანია |
| 96. | ფროდ გროდასი | ჩელსი | ნორვეგია |
| 97. | უვე როსლერი | მანჩესტერ სიტი | გერმანია |
| 98. | გუს ჰარლი | ბრენტფორდი | ბარბადოსი |
| 99. | მარკო სასი | ბრედფორდი | ჰოლანდია |
| 100. | რუუდ გულიტი | ჩელსი | ჰოლანდია |

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიის** თასის ფინალის განმეორებით შეხვედრაში „ფლამენგომ“ ფრედ 2:2 ითამაშა პორტუ ალეგრეს „გრემიოსთან“. პირველი შეხვედრა პორტუ ალეგრეში 0:0 დასრულდა და სტუმრად გატანილი გოლების წყალობით ბრაზილიის თასი ლიბერტადორესის თასის ორგზის მფლობელმა „გრემიომ“ დაისაკუთრა.

**შოტლანდიის პრემიერლიგაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა „ჰიბერნიანმა“. ქვედალიგელ „ერდრისთან“ პირველი შეხვედრის 1:0 მოგების შემდეგ საპასუხოში 4:2 იმარჯვა და საგაისოდ შოტლანდიის პრემიერლიგაში ადგილი დაიბევა.**

**კოლუმბიელ** ფორვარდ ფაუსტინო ასპრილიას მავანმა პოლიციელმა სასამართლოში უჩივლა, მე მას წესრიგისკენ მივუთითე, ეს კი მომვარდა და თავი დამარტყაო. ამ დღეებში, ერთ-ერთი კონცერტის დროს ფეხბურთელმა მართლაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა სამართლდამცავს და ახლა მშობლიური ქალაქის სასამართლოში მოუწევს თავის მართლება.

**„იუგოსლაველმა ფორვარდმა ანტონ დროზბნიაკმა, ვინაც ეს სეზონი „ბასტიაში“ გატანილი 17 გოლით აღნიშნა, „ლანსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის განმავლობაში დაახლოებით 3 მილიონ დოლარს მიიღებს.**

**ინგლისის** ჩემპიონატის დამთავრებისთანავე კოლიმორშეძენილმა „ასტონ ვილამ“ ამერიკას გასწია ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. ბირმინგემელებმა პირველი შეხვედრა „სან-ხოსესთან“ ფრედ 1:1 ითამაშეს, ასევე დაასრულეს მეორეც „ლოს ანჯელესთან“. კოლიმორმა უცხოეთშიც იმარჯვა და „ასტონ ვილაში“ დებიუტი გოლით აღნიშნა.

**ურუგვაის ჩემპიონატის პირველი ნაწილი, „აპერტურას“ პირველობა, დედაქალაქის „ნასიონალმა“ მოიგო „ლივერპულის“ 3:0 ძლევით. ქვეყნის ჩემპიონის გამოსავლენად „ნასიონალი“ „კლასურას“ პირველობის გამარჯვებულს შეხვდება.**

**საფრანგეთის** „ბორდოს“ ნახევარმცველმა იბრაჰიმ ბამ შესაძლოა თანაკლუბელების — ზინედინ ზიდანის და კრისტოფ დიუგარის დარად აპენინებს მიაშუროს. ბას „მილანი“ ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობს, ფეხბურთელიც ყაბულსაა, „ბორდოს“ თავკაცობა კი ამბობს, იბრაჰიმს მხოლოდ მაშინ გავყიდით, თუ იტალიელები ჩვენს პირობებს დათანხმდებიანო.

**ინგლისელი ფეხბურთის ლეგენდა, 82 წლის სტენლი მეტიუზი გუშინ გულის შეტევის გამო საავადმყოფოში დააწვინეს. მეტიუზმა ინგლისის მაშინდელ პირველ დივიზიონში თამაში 1932 წელს დაიწყო და 50 წლისამ დაამთავრა 1965-ში. შემდეგ იგი ყოველთვის ამბობდა, რომ კიდევ ორი წელიწადი შეეძლო უმაღლეს დონეზე ასპარეზობა. ნაკრებში მეტიუზი პირველად 19 წლისა მიიწვიეს, ბოლო შეხვედრა კი 41 წლისას ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ მაისის დასაწყისში სერ სტენლიმ ოფიციალურად გახსნა ჩრდილო სტეფორდშირის საავადმყოფოს კარდიოლოგიის დეპარტამენტი, სწორედ ის, რომელშიც დღეს თავად მკურნალობს.**

**პორტუგალიის** თასის ნახევარფინალში „დინამოს“ გამანადგურებელმა „ბოავიშტამ“ მასზე ბევრად ძლიერი მეტოქე ლისაბონის „სპორტინგი“ დაჯაბნა — 3:2 მოუგო დამატებით დროში და ფინალში გავიდა, სადაც 10 ივნისს გადამწყვეტ მატჩში თასის მფლობელ „ბენფიკას“ შეერკინება.

**ინგლისის პრემიერლიგაში მობრუნებულმა „ბოლტონმა“ გავარდნილი „მიდლსბროსგან“ ორნახევარ მილიონ დოლარად ნილ კოქსი შეიძინა. 25 წლის მცველზე „ბოლტონის“ მწვრთნელი კოლინ ტოდი აუგს არ ამბობს — იანვრიდან ვაკვირდები და ვფიქრობ, ურიგო შენაძენი არ უნდა იყოსო.**

**ირლანდიის** ახალგაზრდული ნაკრების მეკარე შეი გივენი შესაძლოა „ბლექბერნიდან“ „ნიუკასლში“ გადაბარგდეს. 21 წლის გივენს „ბლექბერნთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტის უფლებით სარგებლობს. ბლექბერნელებმა შეის კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ გივენი არ ჩქარობს, კლუბის თავკაცებს კი პირდება — ცოტაც მაცადეთ, თუ „ნიუკასლი“ არ შემეხმიანა, მაშინ თქვენთან დავრჩებიო.

**რუმინეთის თასის ნახევარფინალში, ოთხშაბათს რომ გაიმართა, დედაქალაქის სამი კლუბი მონაწილეობდა: „სტიაუამ“ კრაიოვას „უნივერსიტატიას“ სძლია 2:1 „ნაციონალისა“ და „დინამოს“ ბუქარესტულ დერბიში კი მასპინძლებმა იმარჯვეს — 2:1.**

**საფრანგეთის** მკვდრეთით აღმდგარმა მარსელის „ოლიმპიკმა“ ქვედა დივიზიონში დაქვეითებული „ლილისგან“ იუგოსლაველი ფორვარდი მილედინ ბეანოვიჩი შეისყიდა. თავდამსხმელმა „ლილის“ მაისურით 13 გოლი გაიტანა, მაგრამ გუნდი გავარდნისგან მაინც ვერ იხსნა. „ოლიმპიკმა“ მილედინს სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

**ინგლისის „ლიდსმა“ შესაძლოა „ბოავიშტას“ სურინამელ-ჰოლანდიელი ზანგი, ზოიძის კარში ორი გოლის გამტანი ჯიმი შეიძინოს. ამ დღეებში პორტუში ჩაფრინდება და ფეხბურთელს კონტრაქტის პირობებზე შეუთანხმდება „ლიდსის“ წარმომადგენელი ჯერემი ფინი. „ლიდსის“ მწვრთნელმა ჯორჯ გრეჰმა განაცხადა, ჯიმი იებოას შემცვლელად მესახებაო.**

**უნგრეთის** თასის ფინალის პირველ მატჩში უკვე ჩემპიონმა ბუდაპეშტის მტკ-მ 6:0 გაანადგურა BVSC და განმეორებით შეხვედრას აზრი დააკარგვინა. მასპინძლები პირველ ნახევარში 4:0 იგებდნენ, მეორეში კი მეტოქე „დაინდეს“ და ორი გოლიღა აკმარეს.

**დანიელმა ბრაიან ლაუდრუპმა შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოქმოვებელი ერიკ კანტონა შეცვალოს. ბრიტანული პრესის ცნობით, მანჩესტერელთა თავმჯდომარემ მარტინ ედვარდსმა შოტლანდიის ზედიზედ ცხრაგზის ჩემპიონ, „გლაზგო რეინჯერსს“ ლაუდრუპში 15 მილიონ 500 ათასი დოლარი შეაძლია. ბრაიანს სქოთებთან კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში ეწურება.**

**იუგოსლავიის** თასის ფინალის განმეორებით შეხვედრაში „ცრვენა ზვეზდამ“ ზორან ნიეგუსის მიერ 84-ე წუთზე შეგდებული ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „ვოივოდინას“ და თასს დაეუფლა. პირველ შეხვედრაში ვერავინ იძალა — 0:0.

**სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრები. ბოლივიაში, „ბოლივარმა“ 2:1 მოუგო პერუს „სპორტინგ კრისტალს“, მონტევიდეოში „პენიაროლმა“ არგენტინის „რასინგს“ 1:0 სძლია, სანტიაგოში კი ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკამ“ თანამემამულე „კოლო-კოლო“ დაჯაბნა — 2:1. მეოთხე შეხვედრა ბრაზილიურ „კრუზეიროსა“ და „გრემიოს“ შორის 27 მაისს გაიმართება.**

**ჰოლანდიელი** მეკარე ედვინ ზოტებიერი, ვინაც „ვოლენდამში“ თამაშობდა, 300 ათას გირვანქად ექს-პრემიერლიგელ „სანდერლენდში“ გადაბარგდა. ინგლისელებმა ედვინს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

**გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ლოთარ მათეუსმა გუშინ, „ბაიერნის“ ვარჯიშის შემდეგ განაცხადა, რომ ბარძაყის კუნთის ტრავმის გამო მომდევნო კვირაში მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ ვერ ითამაშებს. „მე ვცადე, მაგრამ ბურთაობაზე ორგანიზმმა უარი მითხრა. ჩემთვის სეზონი დასრულებულია“ — თქვა 36 წლის ბავარიელმა.**



REUTERS სტოკჰოლმიდან

**შვედეთის** ნაკრებმა სტოკჰოლმში საქართველოს მომავალ მეტოქესთან პოლონეთთან 2:2 ითამაშა. პერ ზეტერბერგის (ფოტოზე) ორი გოლის წყალობით დაწინაურებულ ჩრდილოელებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ 69-ე წუთზე კრჟიშტოფ ბუკალსკისგან და 87-ზე — რადოსლავ კალუჟნისგან ორი მიიღეს და პირველი 30 წუთის მონაგარი ქარს გაატანეს.

## ჰოჯსონი გადადგა

ოთხშაბათს „ინტერმა“ უეფას თასის ფინალი წააგო, ჯილდო გელზენკირხენის „შალკემ“ გადაიტანა და მწვრთნელიც წაუვიდა. ინგლისელი როი ჰოჯსონი, რომლის ვრცელი ინტერვიუც წინა „სარბიელში“ შემოგთავაზეთ, ისედაც მიდიოდა, სეზონის ბოლოს სამშობლოში ბრუნდებოდა, სათავეში „ბლექბერნს“ უნდა ჩაუდგეს, მაგრამ ახლა დარჩენილ ორ ტურსაც აღარ იცდის.

სხვათა შორის, მილანელთა აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა ნაჩქარევი გადადგომის მიზეზად კლუბის ხელმძღვანელობასთან გამწვავებული ურთიერთობა დაასახელა. ხელადვე ისიც გაიხსენეს, რომ ოთხშაბათს, „შალკესთან“ საპასუხო შეხვედრისას, მას საკუთარ ფეხბურთელთან, არგენტინელ ხავიერ ძანეტისთან სახალხო შელაპარაკება მოუვიდა.

ხვალ „ინტერი“ „ნაპოლის“ მასპინძლობს, მომდევნო კვირას, 1 ივნისს კი ჩემპიონატის ბოლო შეხვედრას ბოლონიაში გამართავს. ამ ორ შეხვედრაში გუნდს მეკარეების მწვრთნელი ლუჩანო კასტელანი უხელმძღვანელებს, ახალი სეზონიდან კი „ნაპოლის“ ყოფილი თავკაცი ჯიჯი სიმონი გაუძღვება.

## ავსტრია

33-ე ტური: შტურმი — ლინცერი 4:2, ადმირა ვაკერი — კაზინო 1:2, ლინცი — აუსტრია 1:1, ტიროლი — ზალცბურგი 1:2, რაპიდი — რიედი 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 33 | 18 | 11 | 4 | 51:22 | 65 |
| რაპიდი | 33 | 17 | 12 | 4 | 62:31 | 63 |
| ტიროლი | 33 | 15 | 7 | 11 | 44:35 | 52 |
| შტურმი | 33 | 13 | 12 | 8 | 47:30 | 51 |
| ლინცერი | 33 | 9 | 16 | 8 | 36:38 | 43 |
| კაზინო | 33 | 10 | 12 | 11 | 34:40 | 42 |
| აუსტრია | 33 | 10 | 9 | 14 | 37:50 | 39 |
| რიედი | 33 | 10 | 6 | 17 | 40:55 | 36 |
| ლინცი | 33 | 5 | 12 | 16 | 25:44 | 27 |
| ადმირა ვაკერი | 33 | 5 | 9 | 19 | 30:61 | 24 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

35-ე ტური: რეალი B — ვილიარეალი 1:1, ბარსელონა B — ბადახოსი 1:0, ლას პალმასი — ლევანტე 4:2, ორენსე — ეიბარი 1:2, მერიდა — ტოლედო 3:1, სალამანკა — ატლეტიკო B 4:2, ოსასუნა — მალიორკა 1:0, ესიხა — ალავესი 1:1, ალბასეტე — ლერიდა 0:1, ლეგანესი — ალმერია 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერიდა | 35 | 19 | 9 | 7 | 52:25 | 66 |
| მალიორკა | 35 | 18 | 10 | 7 | 54:35 | 64 |
| სალამანკა | 35 | 17 | 11 | 7 | 64:32 | 62 |
| ეიბარი | 35 | 16 | 13 | 6 | 41:25 | 61 |
| ალბასეტე | 35 | 17 | 9 | 9 | 45:30 | 60 |
| ბადახოსი | 35 | 14 | 14 | 7 | 31:21 | 56 |
| ლეგანესი | 35 | 12 | 13 | 10 | 41:35 | 49 |
| ლევანტე | 35 | 12 | 11 | 12 | 49:43 | 47 |
| ლას პალმასი | 35 | 12 | 11 | 12 | 50:45 | 47 |
| ვილიარეალი | 35 | 12 | 9 | 14 | 37:47 | 45 |
| ალავესი | 35 | 11 | 11 | 13 | 40:40 | 44 |
| ატლეტიკო B | 35 | 11 | 10 | 14 | 50:56 | 43 |
| ტოლედო | 35 | 11 | 9 | 15 | 36:46 | 42 |
| ლერიდა | 35 | 10 | 11 | 14 | 40:40 | 41 |
| ალმერია | 35 | 9 | 14 | 12 | 37:44 | 41 |
| ორენსე | 35 | 10 | 11 | 14 | 32:40 | 41 |
| ოსასუნა | 35 | 9 | 10 | 16 | 31:41 | 37 |
| რეალი B | 35 | 9 | 8 | 18 | 35:66 | 35 |
| ბარსელონა B | 35 | 7 | 13 | 15 | 38:54 | 34 |
| ესიხა | 35 | 6 | 9 | 20 | 25:57 | 27 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა

31-ე ტური: კიკერსი — ვოლფსბურგი 0:0, ფორტუნა — ურდინგენი 1:2, მეპენი — ლაიპციგი 0:0, კარლ ცაისი — მაინცი 2:1, ლიუბეკი — ოლდენბურგი 2:0, ცვიკაუ — კაიზერსლაუტერნი 2:1, მანჰაიმი — როტ ვაისი 3:3, აინტრახტი — გიუტერსლო 2:0, უნტერჰახინგი — ჰერტა 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 31 | 17 | 10 | 4 | 62:22 | 61 |
| ჰერტა | 31 | 17 | 7 | 7 | 56:33 | 58 |
| ვოლფსბურგი | 31 | 11 | 16 | 4 | 40:24 | 49 |
| მაინცი | 31 | 12 | 12 | 7 | 43:29 | 48 |
| კიკერსი | 31 | 11 | 12 | 8 | 34:26 | 45 |
| აინტრახტი | 31 | 12 | 8 | 11 | 40:41 | 44 |
| უნტერჰახინგი | 31 | 9 | 16 | 6 | 30:24 | 43 |
| მეპენი | 31 | 10 | 13 | 8 | 35:36 | 43 |
| ურდინგენი | 31 | 12 | 6 | 13 | 45:40 | 42 |
| ლაიპციგი | 31 | 11 | 9 | 11 | 46:48 | 42 |
| ფორტუნა | 31 | 10 | 9 | 12 | 50:41 | 39 |
| გიუტერსლო | 31 | 10 | 9 | 12 | 37:46 | 39 |
| კარლ ცაისი | 31 | 8 | 14 | 9 | 38:41 | 38 |
| ცვიკაუ | 31 | 10 | 6 | 15 | 29:45 | 36 |
| მანჰაიმი | 31 | 8 | 10 | 13 | 40:49 | 34 |
| ლიუბეკი | 31 | 7 | 12 | 12 | 27:48 | 33 |
| ოლდენბურგი | 31 | 6 | 9 | 16 | 31:61 | 27 |
| როტ ვაისი | 31 | 7 | 4 | 20 | 41:70 | 25 |

# ლოდინის 93 წელი



AP გელზენკირხენიდან

გელზენკირხენის ქუჩებში: ოლაფ ტონმა თასი ქალაქში ჩამოატარა

...ვილმოტსმა მეოთხე პენალტიც შეაგდო და გელზენკირხენის სტადიონი, რომელზეც 21 მაისის ღამეს არანაირი მატჩი არ ტარდებოდა, გულშემატკივართა ყიჟინამ გააყრუა. დაახლოებით 30 ათასი ფანი რამდენიმე საათით ადრე შეიკრიბა საყვარელი გუნდის სარბიელზე და მოუთმენლად ელოდა მატჩის დაწყებას, რომელსაც შეეძლო მათი გუნდისთვის თითქმის საუკუნოვან ისტორიაში პირველი ევროპული ჯილდო მოეტანა. 1997 წლის 21-22 მაისის შესაყარი ღამე არასდროს დაავიწყდებათ გელზენკირხენელებს. მათმა საყვარელმა გუნდმა ხომ 25-წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ჯილდო — უეფას თასი მოიგო. მართალია, „შალკე 04“ შვიდჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი, მაგრამ ბოლოს პირველობა ბუნდესლიგის დაარსებამდე, 1958-ში მოიგო. ბოლო ტიტული, გერმანიის თასი კი მეოთხედი საუკუნის წინ, 1972 წელს მოიპოვა. მას შემდეგ „შალკე“ ქვეყნის საშუალო კლუბების მარაქაში ტრიალებდა, 1988 წელს კი საერთოდაც გავარდა ბუნდესლიგიდან, თუმცა ქვედა ეშელონში დიდხანს არ გაჩერებულა და კვლავ დაუბრუნდა გერმანული ფეხბურთის ელიტას. შარშან მოპოვებულმა ბრინჯაოს მედლებმა გუნდს ევროტურნირების საგზური მისცა, მათაც ძალები არ დაზოგეს და აგერ თასიც მოიგეს. თასი, რომელსაც „ინტერი“ 90-იან წლებში უკვე ორჯერ ფლობდა. „შალკეს“ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები დიდ ეკრანზე უცქერდნენ ამაღელვებელ მომენტს, როგორ გადასცემდა ევროპული ფეხბურთის მამა ლენარტ იუჰანსონი მათი გუნდის კაპიტან ოლაფ ტონს ნანატრ ჯილდოს. ცხადია, ასეთ მოვლენას ლუდისმოყვარული გერმანელები დაუსველებლად არ დატოვებდნენ და მათაც მთელი ღამე ღრეობაში გაატარეს, თუმცა აღვირახსნილობამდე საქმე არ მიუყვანიათ. ამას ქალაქის პოლიციის შეფის სიტყვებიც მოწმობს, ესენი როცა ფხიზლები არიან, მაშინ გვიჭირს წესრიგის დაცვა, დღეს კი დახეთ, ერთი შემთხვევა რაა, ისიც არ ყოფილაო. ბოლოს ხუმრობით დასძინა, ნეტა, ქალაქში სულ ასეთი მთვრალები ცხოვრობდნენო. მაშინ, როცა მილანში მეტოქენი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციას მართავდნენ, ათასობით გულშემატკივარი გმირების შესახვედრად აეროპორტისკენ გაემართა ფარებანთებული მანქანებით და იქიდან ფეხი მანამდე არ მოიცვალა, სანამ „შალკეს“ ავტობუსმა სტადიონისკენ არ აიღო გეზი. ინათა თუ არა, ქალაქში ქუდზე კაცი გამოვიდა, რათა ფეხბურთელებს ცენტრალურ მოედანზე შეხვედროდა. ფეხბურთელები სახურავგადახდილი ავტობუსით მოვიდნენ. გამოჩნდა გუნდი თასით ხელში, ხალხი გარს შემოეხვია და ავტობუსმა ძლივს მოაღწია დანიშნულების ადგილს — სტადიონს. იქ კი ნადავლის ერთსაათიანი გამომზეურების მერე გუნდმა პრესკონფერენციის დარბაზს მიაშურა. მათ ჟურნალისტებისთვის საინტერესო კითხვებს გასცეს პასუხი. ანდრე მიულერმა თქვა, მილანში ჩასვლამდეც დარწმუნებული ვიყავი, რომ თასს მოვიგებდითო. მერე დასძინა, ახლაც თავი სიზმარში მგონია და რამდენიმე დღეს მაგრად დავისვენებო. თანაგუნდელის საუბარი რომ მოისმინა, მარტინ მაქსმა თქვა, ეს თასი ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ყოველ შემთხვევაში აქამდეო. მერე კი გამოტყდა, რომ ჯიგრიანად დათრობა ჰქონდა დაგეგმილი. პირველი პენალტის გამტანმა ანდერბრიუგემ განაცხადა, დღეს გუნდში ბიჭებს ისეთი ურთიერთობა გვაქვს, ბევრმა გუნდმა ინატროსო. ბელგიელმა ვილმოტსმა აღიარა, შეიძლება, სიხარულმა გამაგიჟოსო. „ყველა ეტაპზე ვისთანაც გვითამაშია, ყველასთან აუტსაიდერებად ვითვლებოდით. მათაც და საკუთარ თავსაც დავუმტკიცეთ, რომ არავისზე ნაკლებნი არ ვართ“. გუნდის კაპიტანმა, მსოფლიოს ჩემპიონმა, ვეტერანმა ოლაფ ტონმა კაპიტნისთვის დამახასიათებელი სიდინჯით ილაპარაკა გუნდზე, მოჰყვა ძველ ამბებს, ისაუბრა ფინალზე. საუბრის ბოლოს კი ემოციები მაინც ვერ დამალა და ხორხოცით თქვა, გასახდელში რომ შევედით, შამპანურით ვიწუწავეთო, ჯერი გამარჯვებულთა მწვრთნელზე, ჰოლანდიელ ჰუბ სტევენსზე მიდგა, კაცზე, რომელმაც უეფას თასისთვის ბრძოლა მშობლიური „როდას“ თავკაცად დაიწყო, თუმცა „შალკეში“ გამარჯვებით დაასრულა. გერმანელებმა „როდა“ კი გამოთიშეს, მაგრამ სტევენსი ისე მოეწონათ, თავისთან მიიწვიეს. მან კი სიკეთე თასით გადაუხადა. სტივენსმა ძირითადად ტაქტიკაზე ისაუბრა, ჟურნალისტებმა მეტოქეზეც გამოსტყუეს ერთი-ორი სიტყვა, ბოლოს კი ათქმევინეს — მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესლიგაში დღესდღეობით მე-12 ადგილზე ვართ, არავის ეგონოს, ვინმეს თავს დავუხრითო.

იმ დროს, როცა გელზენკირხენი და მასთან ერთად მთელი გერმანია ხარობდა, დამარცხებულთა პრეზიდენტი მასიმო მორატი იტალიის პრესას ინტერვიუს აძლევდა და იმედოვნებდა, მართალია წელს დავმარცხდით, მაგრამ „ინტერი“ მაინც „ინტერია“ და ჩვენც ვიბრძოლებთ დიდი მიზნებისთვისო.

**ლაშა გოდუაძე**

# ერთი ლეგენდის ორი სვეტი

ჯო პოზნანსკი და გოგი ახვლედიანი ერთმანეთს არ იცნობენ. ღმერთმა ორივე დიდხანს და კარგად ამყოფოს, მაგრამ, ალბათ იმქვეყნადაც ისე წავლენ, რომ ურთიერთის ხილვის ბედნიერება არ ეღირსებათ. კოლეგები კი არიან — ერთი მავან ამერიკულ გაზეთში მესვეტეობს, მეორე — ჩვენთან, „სარბიელში".

ეს თავთავიანთი სვეტებიც ერთდროულად, ოღონდ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაწერეს. არადა, შეიძლება იფიქრო, ორივე ერთი კაცის კალამს ეკუთვნისო. ღმერთი, რჯული, ამათ ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ, უბრალოდ, ერთდროულად დაჰკრათ თავში მუზამ და თავთავიანთი ნაფიქრალიც ერთდროულადვე გამოაქვეყნეს.

არადა, თითქოს რატომ უნდა ფიქრობდნენ ერთნაირად ვიღაც ამერიკელი (ალბათ) პრაგმატიკოსი და ვიღაც თბილისქალაქელი მოყარაჩოხლო ელემენტი? ალბათ იმიტომ, რომ მათი ფიქრი ერთი ლეგენდისკენაა მიმართული. ამ ლეგენდას მაიკლ ჯორდანი ჰქვია. ჰოდა, როცა საქმე ამგვარებს ეხება, იქ შეხედულებებსა და გაგებებს შორის საზღვარი ისპობა ხოლმე.



ჯო პოზნანსკის სვეტი

## ნაღდი MVP ჯორდანია

სპორტული ჯილდოები წლიდან წლამდე უფრო და უფრო უაზრონი ხდებიან. არსებობს ჰეისმენის ჯილდო, რომელსაც ყოველ წელს იღებს რომელიღაც კოლეჯში მოთამაშე ვიღაც კალათბურთელი ბიჭი. არსებობს „წლის მწვრთნელის" ჯილდო, რომელსაც იღებს გუნდის შარშანდელი მეოთხე ადგილიდან წლევანდელ მესამე ადგილზე გადმოყვანაში.

და არსებობს ნბა-ს უძვირფასესი მოთამაშის — MVP (MOST VALUABLE PLAYER) ჯილდო, რომელიც ნბა-ს მამების გადაწყვეტილებით, შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა, ოღონდ არა მაიკლ ჯორდანმა.

შევიგნოთ, რომ მაიკლ ჯორდანი ყოველთვის ნბა-ს MVP-ია. ყოველთვის. თუ ჯორდანი ითამაშებს „ბოსტონ სელტიქსში", ეს გუნდი იქნება საუკეთესო. თუ ჯორდანი ითამაშებს „კანზას ჯეიჰოქსში", ეს გუნდი იქნება საუკეთესო. თუ ჯორდანი ითამაშებს არკანზასის უნივერსიტეტში... კეთილი, ვგონებ, ყველაფერი გასაგებია.

ჯორდანი ყველას სჯობს შეტევაშიც, დაცვაშიც და, საერთოდ, მოედანზე ყველაზე უკეთესია. იგი ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ამოუცნობი მოთამაშეა მსოფლიოში. იგი ყველას წჯობს, ვისაც კი ოდესმე კალათბურთი უთამაშია. იგი — ძახილის ნიშანია.

ნბა-მ კი MVP-ს ტიტული კარლ მელოუნს მიაკუთვნა.

არა, კარლ მელოუნს როდი ვერჩი. ამ კაცმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და ამით „დიდების დარბაზშიც" მოხვდება. მაგრამ მისი ჯორდანზე წინ დაყენება? ეს იგივეა, ფრენკ სინატრას ამჯობინო ტონი ბენეტი, ანდა ბრიუს ლის ამჯობინო ჯეკი ჩანი. ამ ხალხში ერთნი კარგები არიან, მეორენი — ლეგენდარულნი.

მთავარი ის გახლავთ, რომ წელს მელოუნის რიგი იყო. ბოლოსდაბოლოს ყველა იღებს ჯილდოს. 1990-იან წლებში MVP-ობის რიგმა მოუწია ჩარლზ ბარკლის, ჰაკიმ ოლაჯუონს, დევიდ რობინსონს და, ახლა, კარლ მელოუნს.

ეს ბიჭები შესანიშნავი მოთამაშეები არიან.

ვერცერთი მათგანი ჯორდანთან ახლოსაც ვერ მივა.

ჯორდანზე ზუსტად ვერავინ ესვრის. ორ წელიწადს კაცი ბეისბოლის კეტით დარბოდა, მერე კალათბურთში დაბრუნდა და ლამის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. საშუალოდ მატჩში მასზე მეტს ვერავინ აგდებდა და ვერც აგდებს. ფლეი-ოფში მისი შედეგიანობა გაცილებით მაღალია. ჯორდანზე კარგად დაცვაში ვერავინ თამაშობს, იგი მეორეა ნბა-ს ისტორიაში მატჩში საშუალოდ გაკეთებულ ჩაჭრებში. არცერთ უკანახაზელს არ დაუფარებია ჯორდანზე მეტად. რვაჯერ იყო ნბა-ს დაცვის ხუთეულში. არ არსებობს ნბა-ში კაცი, ვისაც სიამოვნებს, როცა ჯორდანი მეურვეობს.

მაგრამ ვის აინტერესებს ეს? მისი კარიერა თვალისმომჭრელია. ჯორდანი ბავშვობაშიც საუკეთესო ბომბარდირი იყო. ახლა იგი გამარჯვებულია. დღეს მის სროლებს, ნახტომებს, ბურთის ტარებას ერთი სიტყვა ჰქვია — სუნთქვისშემკვრელი.

მასზე ძვირფასი არავინაა. არავის შეუძლია იყოს მისებრ ძვირფასი. კი ბატონო, კარლ მელოუნი დიდი მოთამაშეა, კარგი ბომბარდირია, მშვენიერი მომხსნელია, შესანიშნავი ფორვარდია, მაგრამ... ვის მიანდობდით თქვენ გადამწყვეტი სროლის შესრულებას — მელოუნს თუ ჯორდანს? როცა თქვენი გუნდი დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე 5 ქულას აგებს, ვის ინატრებდით მოედანზე — მელოუნს თუ ჯორდანს? როცა მეტოქე გუნდის საუკეთესო მოთამაშე ამოსაკეტია, ვის ინატრებდით — მელოუნს თუ ჯორდანს? კარგით, მარტივად ვთქვათ: თქვენს გუნდში მელოუნი გინდათ გყავდეთ თუ ჯორდანი?

ეს ჯილდოები წლიდან წლამდე უფრო და უფრო სულელური ხდებიან.

და ბოლოს. ჯილდოები ბევრს არ წყვეტს. ჯორდანი ყველას დაამახსოვრდება, როგორც თავისი დროის საუკეთესო მოთამაშე. მეტიც, როგორც ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რამდენჯერ დაჩაგრეს იგი. იგი ოთხჯერ იყო MVP. თითქოს ბევრია, მაგრამ, რეალურად, იგი MVP იყო 10 სეზონის განმავლობაში. წელს მელოუნის რიგი მოვიდა და, MVP-ც იგი გახდა, ჯორდახი კი, როგორც ყოველთვის, ჩემპიონობას შეუტევს.



გოგი ახვლედიანის სვეტი

## უძვირფასესი მელოუნი ყოფილა, ჯორდანს კი ვირის თავ-ფეხი?

155 კალათბურთზე მწერალი კაცი ხუმრობა არ გეგონოთ, თქვენი ჭირიმე. მითუმეტეს, ის 155 კაცი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ამბებს რომ მიმოიხილავს. ჰოდა, ამ ხალხმა გადაწყვიტა, რომ ენბიეის უძვირფასეს მოთამაშედ წელს მეილმენი უნდა ყოფილიყო.

მეილმენი — იგივე კარლ მელოუნია, მორმონთა ქვეყნის ცნობილი გუნდის, „იუტა ჯაზის" 33 წლის ფორვარდი. მაიკლ ჯორდანი ექვი თუ შვიდი პირველი ადგილით ჩამორჩა სოლტლეიკელ გოლიათს, რომელიც აგერ მეათე წელია ვარსკვლავობს, კალათბურთის ყოველ მოყვარულს ახსენებს თავს ჯონ სტოქტონთან ბრწყინვალე შეთამაშებით, ფარისქვეშეთის პყრობით და თითო თამაშში ლამის 30 ქულის მოპოვებით.

ეს, რა თქმა უნდა, დიდი და ვარსკვლავი კაცია, გასაოცრად სტაბილური, ამავდროს ჯაჯლანა და ოხერი ერთი ზანგი კაცია. მოკლედ, დიახაც უკავია ადგილი ენბიეის 50 ლეგენდარულ მოთამაშეს შორის.

წელსაც, როგორც ყოველთვის, მეილმენი უაღრესად სტაბილური და ვაჟკაცი იყო.

მაგრამ ქომაგის საქმე ხომ ის არის, ყველაფერში ეჭვი შეიტანოს. გასაგებია, რომ იუტა დივიზიონის ჩემპიონი გახდა, დასავლეთის კონფერენციის უდავო ლიდერად დაასრულა ჩემპიონატი და ახლა ფინალსაც თამაშობს „ჰიუსტონთან", მაგრამ საინტერესო აი რა არის:

მელოუნის პირველკაცობის საკითხი არასოდეს დამდგარა. ორადორჯერ ის მესამედ აღიარეს და ხმათა დათვლის ობიექტური პრინციპით ის ყოველთვის მესამე ან მეხუთე იყო მსგავს გამოკითხვებში.

„იუტა" შარშანაც გავიდა დასავლეთის ფინალში, მაგრამ საუკეთესოდ ჯორდანი სცნეს.

მე ასე ვხვდები, რომ მელოუნის წლევანდელი დაფასება მხოლოდ სტაბილურობის დაფასებაა, თორემ სხვაფრივ, მეილმენი არ გახლავთ ის კაცი, ღვთაებრივ ადგილებს რომ შეეტოტოს. კი, ის დიდი ბომბდამშენია, მაგრამ განა ისეთივე, თუ უფრო დიდი არა, ბომბდამშენი არ არის ჰაკიმ ოლაჯუონი? გასაგებია, რომ „ჰიუსტონს" შუა სეზონში სამარცხვინო ჩავარდნა ჰქონდა. მაგრამ ჰაკიმი ხომ ყოველთვის აკეთებდა თავის საქმეს, იმის მიუხედავად, ჰყავდა თუ არა გვერდით ბარკლი და დრექსლერი? ასე თუ მივუდგებით, მჯობნის პოვნა ძნელია. მაგრამ საქმე რომ წლევანდელ სეზონშია და არა საერთო ამბავში?

კი, მელოუნი სტაბილური კაცია. ბომბარდირთა ისტორიულ ათეულში გადის, მაგრამ ენბიეი ხომ ისეთი ქარხანაა, სადაც სიტყვა „ღვთაებრივის" გახსენებაც შეიძლება. ნუ, პირდაპირ, ძალიან, ძალიან მაგარია ეს მელოუნი. მაგრამ სანამ მოედანზე ჯორდანია, სანამ ეს ჰაერს შეერთებული კაცი, ეს უცნაური ასტრონავტი მოედანზეა, მე არ ვიცი, რა ადგილებზეა ლაპარაკი.

მიმდინარე სეზონის 8-10 თამაშში ჯორდანს ჰქონდა უფერული დღეები — აქამდე სრულიად უცხო მისი კარიერისთვის, მაგრამ მან ოციოდე სასწაული მაინც მოახდინა და არათუ „ბულზის", ლიგის ლიდერადაც რჩება. მან მეტი ჩააგდო, ვიდრე მეილმენმა, მან მეტი თამაში მოიგო და რახან მცველია, ფარი იმგვარად არ დაუპყრია, როგორც მელოუნს, მაგრამ რამდენი ჩაუჭრია, ნუღარ იკითხავთ.

მთელი ეს სეზონი ჯორდანის ბედზე ვფიქრობდი. ერთი სვეტიც გამოვაქვეყნე. ვამბობდი, ჩავარდნები ცუდი ნიშანია-მეთქი და ეგებ „ჩიკაგოს" დაისიც საგაისოდ მაინც დაიგეგმოს-მეთქი. განა ჯორდანი რაღაც გაკერპებული ვინმე მგონია? ეს უდიდესი სახელია: რამდენიმე დიადი ვინმის საუკეთესო თვისებებს თქვენს თვალწინ კრებს თავის თავში და სტატისტიკური ცნობარი საჭიროც არ არის.

მელოუნისთანა დიდები კი ბლომად ჩამოითვლება.

ესეც არ იყოს, მაიკლი კაცია. ისევე, როგორც სხვა დიდი სახელი, უეინ გრეცკი, ესეც მოქალაქის ნიმუშია. როდმანი მატრაკვეცობს და ვირობს, ბლეილოკი პლანს სწევს, შაკილი ძველბიჭობს, მელოუნი კი... მელოუნი ქალებსა სცემს, კბენს, გლეჯს და ჟურნალისტებს „ღორებს" ეძახის.

მაიკლს არაფერი ეს არ სჭირდება — ის უბრალოდ ყველაზე კარგია, რაც არ უნდა დათვალონ ხმების შემკრებ კომისიაში.

და საერთოდ, ჯორდანი უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი ხმის კომისია.

ასეა — მელოუნი ვერასოდეს გახდება ჩემპიონი, სანამ ჯორდანი ჯორდანობს.

უძვირფასესი შეიძლება იყოს, მაგრამ საუკეთესო — ვერა.

ჯერ ჰაკიმს აჯობოს — მერე თავისი გამარჯვებების ნუსხა დადოს და მორმონებზეც ამის შემდეგ ვილაპარაკოთ.

# მცირე შანსი დარჩა

ავსტრიის ქალაქ ველსში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე, საქართველოს ქალთა ნაკრებმა პირველი ორი მატჩი წააგო. პირველ შეხვედრაში ფავორიტს, ბულგარეთის ნაკრებს ქართველმა კალათბურთელებმა დიდი ბრძოლა გაუმართეს. დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე ჩვენები ქულით იგებდნენ, ამ დროს კი ხუთი პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დატოვეს ლიდერებმა — მედეა მხეიძემ და გვანცა ომიაძემ. ბულგარელებმა უმალ ისარგებლეს ამით და 96:83 გაიმარჯვეს.

უფრო დრამატული გამოდგა მეორე, თურქებთან შეხვედრა. პირველი ტაიმი ჩვენებმა რვა ქულით წააგეს — 44:52. მეორე ნახევარში ქართველები მეტოქეს წამოეწივნენ, მერე დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ აქ ღალლამ იჩინა თავი. თან მსაჯები ზედიზედ აჯარიმებდნენ ჩვენს მოთამაშეებს და დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ჩვენი ექვსი მოთამაშე მოედანზე აღარ იყო. საქართველოს ნაკრებს ოთხი მოთამაშელა შერჩა და, რა თქმა უნდა, შეხვედრის ბედიც გადაწყვეტილი იყო.

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულით გათამაშებას ლიდერობენ ბულგარელები და თურქები. ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელის ნუგზარ ჭეიშვილის აზრით, მართალია, არის თეორიული შანსები ორ საუკეთესო გუნდში მოსახვედრად, მაგრამ ორივე ლიდერი სოლიდურად თამაშობს და ეს შანსები ერთობ მცირეა. დღეს ჩვენები ავსტრიელებს ეთამაშებიან, კვირას კი — რუმინელებს.

21 მაისი

**საქართველო — ბულგარეთი 83:96**

საქართველო: ომიაძე (10), ბუილლიშვილი (12), კუპატაძე (3), კუპრაშვილი (4), მხეიძე (31), ცანავა (3), ჩეკურიშვილი (2), ქაჯაია, სირაძე (11), ცინცაძე (7)

22 მაისი

**საქართველო — თურქეთი 73:101**

საქართველო: ომიაძე (7), ბუილლიშვილი (8), კუპატაძე (2), კუპრაშვილი (12), მხეიძე (26), სირაძე (5), ცინცაძე, ჩეკურიშვილი (5), ცანავა (7), ქაჯაია (1)

## NBA. ფლეი-ოფი

აღმოსავლეთი

**ჩიკაგო — მაიამი 2:0**

22 მაისი. ჩიკაგო — მაიამი 75:68

დასავლეთი

**იუტა — ჰიუსტონი 2:0**

21 მაისი. იუტა — ჰიუსტონი 104:92



იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი ტური გაიმართა.

A ჯგუფში სენსაციით დამთავრდა ისლანდიელებისა და იუგოსლავიელების შეხვედრა. მართალია, ისლანდიის ნაკრები ბოლო ხანებში მომძლავრდა, იუგოსლაველები კი საერთაშორისო ასპარეზზე დიდხანს არ ჩანდნენ, მაგრამ მათ ამგვარ განადგურებას მაინც არავინ ელოდა.

B ჯგუფში ბრწყინვალედ გამოდიან შვედები. პირველი შეხვედრების შთაბეჭდილების მიხედვით ეს საჩემპიონო გუნდია. აშკარად უჭირთ ყოფილ ჩემპიონებს, ფრანგებს, რომელთაც კორეასთან წაგების მერე არც თუ დამაჯერებლად დაამარცხეს არგენტინელთა სუსტი ნაკრები.

C ჯგუფში, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერობენ ესპანელები და ეგვიპტელები. აქ მეოთხე „გამსვლელი ადგილისთვის" პორტუგალიელები და ტუნისელები იბრძოლებენ.

D ჯგუფში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ხორვატებმა უნგრელებთან წააგეს.

A ჯგუფი

ლიტვა — ალჟირი 19:19

ისლანდია — იუგოსლავია 27:18

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 7865 | 5 |
| ალჟირი | 3 | 1 | 2 | 0 | 65:60 | 4 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 0 | 1 | 69:67 | 4 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 67:66 | 3 |
| იაპონია | 3 | 1 | 0 | 2 | 6266 | 2 |
| საუდეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 5269 | 0 |

B ჯგუფი

არგენტინა — იტალია 15:21

კორეა — შვედეთი 21:36

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 96:55 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 75:68 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 61:59 | 3 |
| კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 69:83 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 57:64 | 2 |
| არგენტინა | 3 | 0 | 0 | 3 | 52:81 | 0 |

C ჯგუფი

ეგვიპტე — ტუნისი 24:17

ჩეხეთი — პორტუგალია 28:24

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 83:51 | 5 |
| ეგვიპტე | 3 | 2 | 1 | 0 | 67:58 | 5 |
| ჩეხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 74:58 | 4 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 6865 | 2 |
| ტუნისი | 3 | 1 | 0 | 2 | 57:74 | 2 |
| ბრაზილია | 3 | 0 | 0 | 3 | 39:72 | 0 |

D ჯგუფი

ჩინეთი — კუბა 21:32

ხორვატია — უნგრეთი 20:23

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 95:45 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 70:60 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 80:61 | 4 |
| კუბა | 3 | 1 | 0 | 2 | 70:74 | 2 |
| მაროკო | 3 | 0 | 0 | 3 | 49:81 | 0 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 57:100 | 0 |



## ფორმულა 1
### IV ეტაპი
### ესპანეთის გრან-პრი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP




„მონტმელოს" ტრასა პილოტთა უმეტესობას არ უყვარს. მეტად მომქანცველია, თანაც საფარი საბურავებს პირდაპირ „ჭამს" და საწვავის ხარჯიც დიდია. განსაკუთრებულ სიფხიზლეს მოითხოვს რამდენიმე მოსახვევი, სადაც ბოლიდის დასამორჩილებლად დიდი ოსტატობაა საჭირო.

შარშანდელი რბოლა ავდარში ჩატარდა. „ფერარიმ" ბოლიდები მთელი რბოლის განმავლობაში სველ ტრასაზე სარბოლოდ მოამზადა და არც შემცდარა. წვიმას წუთითაც არ გადაუღია და შუმიმ გაიმარჯვა. სხვა ფავორიტები კი ასპარეზობისას ტრასის შეშრობას ვარაუდობდნენ, ბოლიდებიც შესაბამისად გაწყვეს და არ გაუმართლდათ, შუმახერს ვერაფერი დაუპირისპირეს.

ბოლო ორ რბოლაში აქ შუმახერმა გაიმარჯვა, წელსაც ფავორიტთა შორის იქნება, თანაც ამჯერად შესანიშნავი სტიმული აქვს — მონტე-კარლოში გამარჯვება და ჩემპიონატის ჩათვლაში დაწინაურება. თუმცა, თავადვე აღიარებს, რომ მისი „ფერარი" ამ ტრასისთვის არ არის „მოწყობილი" და პირველობისთვის ბრძოლა გაუჭირდება. ჩემპიონატის აღიარებულმა ფავორიტმა ვილნევმა ზამთრის ტესტების ნაწილი აქ ჩაატარა და საუკეთესო შედეგებიც ჰქონდა, ასე რომ, შესანიშნავად შეისწავლა ტარასა და მისი „უილიამსიც" კარგად არის მოგებული ამ ავტოდრომს. ამასთან, ჟაკმა ბოლო ორი რბოლა უშედეგოდ დაასრულა და თუ ჩემპიონობა სურს, ამ რბოლაში თავი უნდა გამოიჩინოს. სხვა გუნდებიდან პოდიუმისთვის ალბათ „ბენეტონის" და „მაკლარენის" პილოტები იბრძოლებენ, მათ პაექრობაში კი „პროსტისა" და „ჯორდანის" ჩაბმაცაა მოსალოდნელი.

სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ რბოლის პირდაპირი ტელეტრანსლაციის ყურება გერმანული არხის RTL-ის მეშვეობით შეუძლიათ კვირას 17 საათიდან.

**ალეკო ჩაგუჩიანი**

25 მაისი, ბარსელონა

კატალუნია — მონტმელოს ავტოდრომი

ტრასის სიგრძე — 4,727 კმ

რბოლის დისტანცია — 65 წრე — 307,255 კმ

შარშანდელი შედეგები:

გამარჯვებული: მიხაელ შუმახერი (ფერარი) 1:59.49,307 (153.758 კმ-სთ)

პოული: დეიმონ ჰილი (უილიამს-რენო) 1.20,650 (211.000 კმ-სთ)

საუკეთესო წრე: მიხაელ შუმახერი (ფერარი) 1.45,517 (161.274 კმ-სთ)

NHL. სტენლის თასი

# დეტროიტი მაღლა ფრენს

## დეტროიტი 3:1 კოლორადო

**დეტროიტი — კოლორადო 6:0**
**შაიბები: ლარიონოვი (1:0), ლარიონოვი (2:0), კოზლოვი (3:0), ფიოდოროვი (4:0), მოლტბი (5:0), მოლტბი (6:0).**

მთელი სეზონის განმავლობაში დეტროიტელთა თავკაცი ბოუმენი იმეორებდა, წელს დავბრძენდით და ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებთო. 63 წლის მწვრთნელი როდი ხუმრობდა — როგორც გახსოვთ, წინა ორი რეგულარული ჩემპიონატი „წითელფრთიანებმა“ ტრიუმფალურად ჩაატარეს და 1995-96 წლების სეზონში 62 მოგებით ლიგის აბსოლუტური რეკორდიც დაამყარეს, მაგრამ ფლეი-ოფში წარმატებამდე საქმე არ მოსულა — ძალაგამოლეული და გადაღლილი დეტროიტელები ფიზიკურად უფრო ძლიერმა გუნდებმა დაჩაგრეს. წელს კი „წითელფრთიანებს“ დიდად არ შეუწუხებიათ თავი და ძალების დაზოგვამ ის შედეგი გამოიღო,



დეტროიტელი მოლტბი მეექვსე შაიბას გზავნის კოლორადოს კარში

რომ ფლეი-ოფში დეტროიტი სრულიად გარდაიქმნა. კლუბში უსუსტესი მეკარეებიც კი საიმედოდ ათამაშდნენ, გამოცდილი ვერნონის მონდომებამ კი გუნდის ხელმძღვანელებიც გააოცა. იგივე შეიძლება ითქვას ბოუმენის მიერ შექმნილ ეგრეთ წოდებულ „რუსულ ხუთეულზე“. ხანგრძლივი ექსპერტების დროს ხან ფრთაზე, ხან კი დაცვაში გადასროლილი მისი მთავარი ფიგურა — ცენტრფორვარდი ფიოდოროვი კვლავ დაუბრუნდა თავის ამპლუას და ამან ხუთეულის აშლილი თამაში კვლავ დაალაგა. მორიგ მატჩში სამმა რუსმა ფორვარდმა ოთხი შაიბა გაახერხა. კოზლოვი 8 შაიბით კლუბის საუკეთესო სნაიპერია, თვით ფიოდოროვმა კი ბოლო 6 მატჩში 10 (3+7) ქულა დააგროვა.

პირველი პერიოდი კოლორადოსთვის ნამდვილ კოშმარად იქცა — დეტროიტმა 7-ჯერ მეტი დარტყმა გააკეთა. მეორეში თამაში თითქოს გათანაბრდა, მაგრამ ამ მატჩს კოლორადოელთათვის გამარჯვების მოტანა არ ეწერა — მათ კიდევ სამი გოლი მიიღეს. ბოლო მესამედის მე-6 წუთზე კი, როცა აქამდე არაფრით გამორჩეულმა მოლტბიმ (სულ 3 გოლი და 5 პასი მთელ ჩემპიონატში) თავისი მეორე შაიბა შეაგდო, თასის მფლობელებს ნერვებმა უმტყუნა. მიუხედავად ლიგის მესვეურთა გაფრთხილებისა — უხეშობისთვის სასტიკად დაისჯებითო, კოლორადოელებმა ემოციები ვერ დაიოკეს და გრანდიოზული შეტაკება მოაწყვეს, რაც შემდეგ მცირე ანგარიშსწორებებმა შეცვალა და ასე გაგრძელდა ფინალურ სასტვენამდე. მოვლენების მიღმა არც კოლორადოს მწვრთნელი კროუფორდი დარჩა, რომელმაც ლანძღვა-გინებით აიკლო თავისი კოლეგა ბოუმენი. საბოლოოდ, გუნდებმა წლევანდელი თასისთვის სარეკორდო — 236 საჯარიმო წუთი მიიღეს (აქედან 204 — ბოლო პერიოდში) და მოსალოდნელია, რომ ჩხუბისთავებს დისკვალიფიკაციასაც აჰკიდებენ. ასეა თუ ისე, კოლორადო ძალზე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა და ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ „ავალანშს“ მეტოქე თამაშის ხარისხით ჯობნის. აქვე გეტყვით, რომ ლიგის ისტორიაში მხოლოდ 13-მა ასეთ მდგომარეობაში მყოფმა გუნდმა მოახერხა სერიის გადარჩენა, ბოლოს კი ეს პიტსბურგმა მოახერხა 1995 წელს ვაშინგტონთან.

**სამველ ლარიბიანი**

სტენლის თასის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერები:

უეინ გრეიცკი — 122 შაიბა, მარკ მესიე 109, იარი კური 106, გლენ ანდერსონი 93, მაიკ ბოსი 85, მორის რიშარი 82, ჟან ბელივო 79, დინო სისარელი 73, ბრაიან ტროტიე 71, მარიო ლემიე 70, კლოდ ლემიე 68, გორდი ჰოუ 68, ესა ტიკანენი 67, ბრეტ ჰალი 66, დენი სავარი 66, ივან კურნუაიე 64, ბრაიან პროპი 64, ბობი სმიტი 64, ფილ ესპოზიტო 61, ჟაკ ლემერი 61, ჯო მულენი 60.



# თელავი-მელბურნი-თელავი

1956 წელია. ავსტრალიაში, მელბურნის ოლიმპიურ დარბაზში, ირანელი ხოჯასტეპური და ქართველი მირიან ცალქალამანიძე ეცილებიან ერთმანეთს ოლიმპიურ ოქროს თავისუფალ ჭიდაობაში. უმჩატესი წონის ეს ორი „მომცრო გოლიათი“ გადამწყვეტ ბრძოლამდე ლამაზი გამარჯვებებით მივიდა, თანაც, უზადო ტექნიკითა და მრავალფეროვანი ილეთებით განაცვიფრეს ჭიდაობის მცოდნენი. მაგრამ ორი გამარჯვებული არ არსებობს და ერთი გვირგვინიც ვერ იგუებს ორ თავს. ამიტომაც გულშემატკივრები დიდი გულისყურით ელოდნენ ბრძოლის დასასრულს და გაუთავებლად მარჩიელობდნენ — ვნახოთ, ირანელის მოგვერდი აჯობებს თუ ქართველის შუაკაური. იძალა მირიან ცალქალამანიძემ და თელავში, სოფელ კონდოლის ნახერხმოყრილ საჭიდაოზე ნასწავლი შუაკაურით ბეჭებზე გააკრა ირანელთა ნაქები ფალავანი. ხოჯასტეპურსაც რაღა დარჩენოდა: აღმოსავლელთათვის ჩვეული რაინდობით გულწრფელად მიულოცა ქართველ მეტოქეს გამარჯვება და მიაძახა, ყოჩაღ, მირიან, ალალად მაჯობეო.

ხოჯასტეპურამდე კი მირიან ცალქალამანიძემ ჯერ ამერიკელ დელგადოს აჯობა, შემდეგ იაპონელი ასაისი დაჯაბნა, ინდოელი დავარი კი ხალიჩაზე ისე ათრია, მსაჯებმა დროზე ადრე შეწყვიტეს ორთაბრძოლა. სამი გამარჯვებით ფრთაშესხმული ცალქალამანიძე თურქ აკბასს შეხვდა. აკბასს ორჯერ უკვე მოგებული ჰქონდა ცალქალამანიძისთვის, ამიტომაც ქართველი ფალავანი უჩვეულო ჟინითა და მონდომებით გამოენთო „ბრძოლის ველზე“. სამწუხაროდ, თურქმა ისევ იყოჩაღა და თითქმის თანაბარი ბრძოლის მიწურულს შეძლო გამარჯვების ქულის მოპოვება. მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. შემდეგ წრეში აკბსი ხოჯასტეპურს ეჭიდავებოდა და თუკი გაიმარჯვებდა, ჩემპიონიც ხდებოდა. მაგრამ, ღმერთმა დალოცოს, ხოჯასტეპურმა სუფთად მოუგო აკბასს, ოქროს მედლისთვის კი მირიან ცალქალამანიძეს შეეტოქა და... დანარჩენი თქვენც იცით.

70 წელი შეუსრულდა მირიან ცალქალამანიძეს. ოლიმპიურ ჩემპიონობას თავი რომ დავანებოთ, მისებრ მრავალფეროვანი და ლამაზად მოჭიდავე ფალავანი ბევრი არ მოგვეძებნება. ერთხელ, მახსოვს, დავით ციმაკურიძემ მითხრა, მირიანი რომ მეტოქესთან მიდიოდა, დარბაზი გაიტრუნებოდა ხოლმე, რადგან, ან მირიანი რაღაც საწაული, მისთვის ჩვეული ილეთით აიღებდა ქულას, ანაც იქნებ იქით დაეკარგა ქულა, მაგრამ ესეც ლამაზად იცოდა, სწორედაც მირიანისებურად. თავისთავადი, თვითმყოფადი კაცია მირიან ცალქალამანიძე. ჭირიც ბევრი უნახავს და ლხინიც, მარცხიც და გამარჯვებაც, სპორტშიც და ცხოვრებაშიც, მაგრამ მაინც მირიანად დარჩა, ცალქალამანიძედ, უდრეკ და უტეხ ვაჟკაცად.



ცალქალამანიძეები წყვილად: პაპა მირიანს შვილიშვილის იმედი აქვს

თელავში, სოფელ კონდოლში ბიჭები ფეხისადგმისთანავე ჭიდაობას იწყებდნენ. მირიან ცალქალამანიძეც მოუსვენარი და ცულლუტი ბავშვი იყო და მოჭარბებული ენერგია სად დაეხარჯა, არ იცოდა. ჭიდაობით კი ჭიდაობდა, სოფელში განთქმული ფალავნის სახელიც დაიგდო, მაგრამ სპორტსმენობაზე სერიოზულად არ ფიქრობდა. ჭაბუკობა მოილია და თბილისს მიაშურა — ინდუსტრიულ ტექნიკუმში დაიწყო სწავლა. წესით, ერთი რიგითი ინჟინერი უნდა გამოსულიყო, მაგრამ ცნობილ ადამიანთა უმეტესობა, მოგეხსენებათ, შემთხვევით ეწევა ხოლმე ბედს. ჰოდა, არც მირიან ცალქალამანიძე იყო გამონაკლისი.

„ტექნიკუმში სწავლის პერიოდში მეგობარი მყავდა ერთი, მოჭიდავე. — ამ ამბის გახსენებაზე ვერც ამჯერად მალავს ირონიას ბატონი მირიანი, — „მილუტონსკის“ დარბაზში ვარჯიშობდა, პეტრეს ცირკს ვეძახდით იმხანად. ერთხელაც, ვარჯიშზე გამომყევიო, მითხრა. წავყევი, მაგრამ დარბაზში არ შევედი, ივარჯიშე და მე გარეთ დაგიცდი-მეთქი. რაღაც ძალიან გაუგრძელდა ვარჯიში, გავბეზრდი და დარბაზში მივაკითხე. ეს ტანმორჩილი ბიჭი რომ დამინახეს ამ მუტრუკმა მოჭიდავეებმა, შაყირი დამიწყეს — ნახეთ, ბიჭებო, ეს რა გოლიათი მოვიდაო. კახელი კაცი ვარ და, გულიც მალე მომივიდა — დავერიე ამ დარჩეულ ვაჟკაცებს და კონდოლური მოგვერდებით ორი-სამი ლეიბზე დავაწვინე“.

ლევ კაპიტონოვი, ჭიდაობის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და უებრო პედაგოგი ესწრებოდა ამ ამბავს. გოლიათებს გამოარიდა ეს ტანმორჩილი უცხო სტუმარი და განზე გაიხმო. არ ვიცი, რა იჩურჩულეს მაშინ მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ცნობილმა მწვრთნელმა, მაგრამ მას შემდეგ მირიან ცალქალამანიძემ პეტრეს ცირკში სიარულს მოუხშირა და ტექნიკუმში სიარულს უკლო. 24 წლისა იყო, ჭიდაობაში ვარჯიში რომ დაიწყო. ამ ხნისა, ბარე ორი მოჭიდავე გავიხსენოთ, ზოგი სარბიელიდან მიდის ტიტულებითა და მედლებით დახუნძლული, მაგრამ ამ კაცმა მაშინ დაიწყო, როცა სხვები ან ამთავრებენ ან სპორტული ცხოვრების შარაგზაზე იმყოფებიან. მალე, სამ წელიწადში, განსაცვიფრებელ წარმატებებსაც მიაღწია და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი. სპორტიდან ისე წავიდა, ნაკრებში მეორე ნომრად არ უჭიდავია. მაშინ ცნობილი ფალავნები გიორგი საიდოვი და იგორ კარავაევი ამაოდ ელოდნენ თავიანთ ადგილს ნაკრებში, რადგან ცალქალამანიძემ მკაცრად, ერთხელ და სამუდამოდ დაუკანონა — უმჩატეს წონაში ისე დაამთავრეს კარიერა, პირველ ნომრობას ვერ ეღირსნენ, მხოლოდ უმნიშვნელო ტურნირებში, როცა ცალქალამანიძეს დასვენება სჭირდებოდა, იმარჯვებდნენ ხოლმე.

ოლიმპიური ჩემპიონი კი იყო და სხვა რაღა უკეთებიაო, იკითხავს ალბათ მავანი. კი, ბატონო, გიპასუხებთ, თუმცა, სჯობს, თავად ბატონ მირიანს დავაცადოთ.

„საბჭოთა კავშირის პირველობა რამდენჯერმე მოვიგე, მაშინდელი სპარტაკიადაც, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი ვერა და ვერ გავხდი. 1954 წელს, იაპონიაში მესამე ადგილი დავიკავე. აქ მომიგო პირველად აკბასმა. მაშინ ჩემპიონატის ყველაზე პატარა მონაწილე იყო — წარმოგიდგენიათ, 10 წლით ჩემზე უმცროსი იყო, მაინც მომიგო. იქვე მივხვდი, რა ხვითოც იყო. 1956 წელს მეორე ვიყავი. მომდევნო წელსაც მეორე ადგილი დავიკავე, მაგრამ აქ კი უეჭველად უნდა გამემარჯვა. მსაჯებმა დამჩაგრეს. სტამბოლში მოხდა ეს ამბავი. ნახევარფინალში ვიღაც იტალიელი წავაქციე. ფინალში კი თურქი ქართალი. მსაჯებმა ხელი ამიწიეს — მოიგეო, მაგრამ ცოტა ხანში ხელახლა დაგვიძახეს მე და ქართალს ხალიჩაზე და ორივეს ხელები აგვიწიეს — კაი ბიჭები ხართ ორივენი, შეხვედრა ფრედ დამთავრდაო. ყველაფერი ქართალისა და ჩემგან ძლეული იტალიელის ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. იტალიელი, რომ იტყვიან, დაუწვა თურქსა და ჩემპიონიც ქართალი გახდა. მერეღა გავიგე — იტალიელთა ოვცრთნელი თურქი ყოფილა და ჩაწყობილი იყო ყველაფერი. გული კი დამწყდა, მაგრამ რაღას ვიზამდი“.



1956 წელი. მელბურნის ოლიმპიადამდე მირიან ცალქალამანიძემ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოიგო

უსინდისო ადამიანებს კი ბევრჯერ დაუჩაგრავთ ბატონი მირიანი, მაგრამ გულში წყენის ჩატოვება არ იცის და არც სამაგიეროს გადახდაზე უფიქრია ოდესმე. ამიტომაც არის, რომ დღესაც თბილად იგონებს ალი ალიევს, ცნობილ ფალავანს, რომელმაც მირიან ცალქალამანიძის ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ნაკრებში და, რომ იტყვიან, „გუნდიდან ამოაგდო“.

სწორედ ალი ალიევის, თავისი მტერმოყვარის თამადობით შესვა იმ ქვეყნად წასული ვაჟკაცების სადღეგრძელო ბატონმა მირიანმა და დინჯად განაგრძო: ალი ალიევი ლეკი იყო, ნამდვილი მთიელი ვაჟკაცი, ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. პირველად მისი ჭიდაობა რომ ვნახე, თავს შევუძახე: გეყო, მირიან, ღირსეული შემცვლელი მოგივიდა-მეთქი. ასეც მოხდა: ალი ჩემს ადგილზე დააყენეს, ჩემს წონაში. დიდი კაციც იყო და დიდი მოჭიდავეც. 1960 წელს, რომის ოლიმპიადაზე ალი წაიყვანეს. მაშინ წონები ისე იყო დაყოფილი, რომ 3-4 წონაში სათადარიგო მოჭიდავეები მიჰყავდათ. ალიზე ალალი იყო, ეკუთვნოდა და წაიყვანეს, მე უკვე ხანმოლეული ვიყავი, მაგრამ გული იმაზე დამწყდა, რომ სათადარიგოდაც არ წამიყვანეს — ბოლო-ბოლო, ოლიმპიური ჩემპიონი ვიყავი, წინა წელს, 1959-ში მსოფლიოს თასიც მქონდა მოგებული, მაგრამ რას იზამ, ზოგჯერ მჩაგრავდნენ, ზოგჯერაც მე ვჯობნიდი“.

სხვაზე თავის უპირატესობას მირიან ცალქალამანიძე მხოლოდ ხალიჩაზე ამტკიცებდა და ეს საქმე კარგადაც გამოსდიოდა. ან პირველობდა, ანდაც ისე ლამაზად ჭიდაობდა, მარცხის შემთხვევაშიც ქომაგნი ათჯერ მეტ ტაშსა და პატივს მიაგებდნენ, ვიდრე კვარცხლბეკზე ყელმოღერებულ ჩემპიონებს. ბევრი ცდილობდა, ის თვითნაბადი ტალანტი, მირიან ცალქალამანიძე რომ ერქვა, ხელში ჩაეგდო — უცხოელებიც შეეხმიანნენ, რუსებმა და უკრაინელებმა ხომ ერთხანს გული გაუწყალეს — წამოდი ჩვენთან, მირიან, გაუჩინარს გაგიჩენთ და ჩვენი სახელით იჭიდავეო. მაშინდელი სპორტსაზოგადოებები ხომ დანასის[illegible] [illegible] ერთმანეთს — ვინ რას [illegible] ცალქალამანიძეს, ვინ რას ჰპირდებოდა. ყველა თავისკენ ეწეოდა. ყველა [illegible] და „მაჭანკალს“ კახური სიდინჯით უსმენდა ბატონი მირიანი და ბოლოს კახურადვე მოკლედ მოუჭრიდა: რა ვქნა, კაცოო, მე ჩემი თელავის ჭინჭარი და ტალახი მირჩევნია თქვენს გაზიზინებულ პროსპექტებსა“... ამბობდა და აკეთებდა კიდეც. ბოლომდე ერთგულად შემორჩა კახეთს, მშობლიურ თელავს და უცხოეთში კი არა, თბილისში არ უცხოვრია ერთი დღე. რას იზამ, ასეთი კაცია ბატონი მირიანი — მყარ ფესვზეა დაფუძნებული და, მოკალი, იქიდან ვერ მოსწყვეტ.

როგორც ყველა სპორტსმენს, მირიან ცალქალამანიძესაც ბევრი შემთხვევა მხიარული და სასეირო თავგადასავლები. თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ერთის მოგონებას ვთხოვ ბატონ მირიანს.

„უნგრეთში ვიყავი მსოფლიოს ჩემპიონატზე. იქ ცნობილი ტბაა, ბალატონის ტბას ეძახიან. ჰოდა, პლაჟზე გავედით მოჭიდავეები, ვიბანავეთ. იმ დროს იქ საბჭოთა კავშირის ძალოსანთა ნაკრები იყო. ესენიც პლაჟზე იყვნენ. ძალოსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი, ტანმაღალი, ბოგდანოვსკი მომიახლოვდა, მიყურა და... — ე, რა პატარა კაციაო, რუსულად ჩაიბურტყუნა. გული მომივიდა, მივედი და ამწიე-მეთქი, ვუთხარი. წადი, თავი დამანებეო, მომაძახა. ნამუსზე ავაგდე, ვერ ამწევ-მეთქი. ბოლოს გაბრაზდა, მომხვია წელში ხელი, ეგონა, ამიტაცებდა, მაგრამ ძვრა ვერ მიყო. გაგიჟდა კაცი. კიდევ ორჯერ-სამჯერ სცადა, — შენც არ მომიკვდე — მიწას ვერ ამაცილა. ბოლოს ვუთხარი — ხელი გამოსწიე მეთქი. ხელი გამოიშვირა, იმის ხელის გულზე დავჯექი და ისე ამწია. ესეა, შვილო, კაცმა თუ მოინდომე, შენზე ძლიერსაც გაუძლიანდები, ოღონდ, ძალა უნდა შეგწევდეს ქადილისა“.

ლამაზად ცხოვრობს მირიან ცალქალამანიძე თელავში, ვისაც გინდათ ჰკითხოთ, ყველა იცნობს, ყველა პატივს სცემს და ყველას უყვარს უკვე ჭარმაგი ფალავანი. 33 წლისა დაეთხოვა ჭიდაობას, სხვა საქმეს ეწია და იქაც დღემდე ჩვეული მუყაითობითა და ენერგიით საქმობს. ოჯახიც შესაშური და თითით საჩვენებელი აქვს. შვილებიც რახანია დააოჯახა და ხარობს შვილიშვილებში ვალმოხდილი და ბედნიერი პაპა. მისი საყვარელი შვილიშვილი, პატარა მირიან ცალქალამანიძე ახლახან მიიყვანა ძიუდოზე. აბა, ახალბედა ძიუდოისტზე ვინ იტყვის, აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო, მაგრამ ჭიდაობის მცოდნენი მაინც დაბეჯითებით ამტკიცებენ: პაპასავით სხარტ და მოუსვენარ პატარა მირიანს ჭიდაობა ლამაზად გამოუდის და აქედანვე ეტყობა ცალქალამანიძეობაო.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

**დღეს, შაბათს, 24 მაისს**

11.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ"; 12.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. ქეიფთაუნიდან; 12.30 (-) საფრანგეთის ბასკეთის თასი; 13.00 საგიჟმაჟო ჟურნალი „სრბოლა"; 13.30 ავტორბოლა: ტურ-კარი. ბრიტანეთიდან; 14.30 ყინულეთში რბოლა; 15.00 ავტორბოლა: კარტ (ყოფილი ინდიკარი). პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი. მედისონიდან (ილინოისი, აშშ); 16.00 მსოფლიოს ულონიერესი კაცი; 17.00 ტურ-კარი: STW-ის თასი. ნიურბურგრინგიდან (გერმანია); 18.00 ძალოსნობა: ევროპის პირველობა. რიეკადან (ხორვატია); 20.00 ჩოგბურთი: მსოფლიოს გუნდური თასი. დიუსელდორფიდან; 21.30 კარტ: მედისონი (პ 22.00-დან); 24.30 ტურ-კარი: ნიურბურგრინგი; 1.00 კრივი: მძიმე წონა. ნიუ-ჯერზიდან; 2.00 ძალოსნობა: ევროპა; 3.00 მხატვრული ტანვარჯიში: ევროპის პირველობა. საბერძნეთიდან (5.00-მდე)

**ხვალ, კვირას, 25 მაისს**

11.30 ცხენოსნობა: ერთა თასი. ვინზორიდან (ინგლისი); 12.30 კარტ: მედისონი (-); 13.30 (პ) ტურ-კარი: პელსინკიდან; 17.00 ველო-კროსი: მსოფლიო თასი. იტალიიდან; 18.00 ძალოსნობა: ევროპა; 21.00 მძლეოსნობა: მსოფლიოს უსწრაფესი კაცი. ბეილი — ჯონსონის გაჯიბრება 150 მეტრზე (1 ივნისს!) წარდგენა; 21.30 (პ) ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. ჩეხეთი — აშშ. ტულონიდან (საფრანგეთი); 23.15 (-) კოლუმბია — შოტლანდია; 24.00 ტურ-კარი: პელსინკი; 1.00 ტურ-კარი: ნიურბურგრინგი; 2.00 ჩოგბურთი: დიუსელდორფი. ფინალი; 4.00 ოლიმპიური ჟურნალი (4.30-მდე)

**ზეგ, ორშაბათს, 26 მაისს**

11.30 ველო-კროსი: იტალია; 12.30 კარტ: მედისონი; 14.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ლია პირველობა. I დღე; 23.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. საფრანგეთი — ხორვატია. ნიმიდან (საფრანგეთი); 24.30 (-) მაროკო — მექსიკა; 1.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები"; 2.00 ჩოგბურთი: საფრანგეთი (რ); 3.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა. პიტერ ებდონი — სთივ დევისი (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

**ყოველდღე**

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


## ჩოგბურთი

# ესპანური არმადა

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები ბოლო დროს ხშირ-ხშირად იკითხავენ, ვაჟთაგან ნეტავ ვინ გაიმარჯვებს საფრანგეთის ღია პირველობაშიო და უმალ თავადვე პასუხობენ, უმეტესი შანსი ესპანელებს აქვთო. მერე ამ ვარაუდის გასამტკიცებლად უტყუარ სტატისტიკასაც მოიშველიებენ: წელს, ევროპაში გამართული შვიდი სათიხნარო ტურნირის 28 ნახევარფინალისტიდან 14 ესპანელი იყო და ოთხი ტურნირიც მათი გამარჯვებით დასრულდაო.

ამის მერე რა გასაკვირია, თუ დიუსელდორფში, მსოფლიოს გუნდურ თასზე ამ ქვეყნის ნაკრებს ბადალი არა ყავს: თავის — ლურჯ ჯგუფს ორი მოგებით ლიდერობს. ესპანელებმა ოთხშაბათს 2-1 ძლიეს შვედეთს, ხუთშაბათს კი 2-0 მოუგეს გერმანიას.

ამ დღეს მთელს ევროპაში წვიმდა. ესპანელმა ფელიქს მანტიამ 41 წუთში კი ძლია გერმანელი დავიდ პრინოზილი, მაგრამ თამაში დილით დაიწყო და საღამოს დასრულდა. ამის შემდეგ ალბერტ კოსტამ იხერხა და მორიგ გაავდრებამდე მოასწრო გერმანელი მიხაელ შტიხის 6:1, 6:3 დამარცხება, რის შემდეგაც მიხაელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის პირველობაზე, რომლის ფინალშიც შარშან დამარცხდა რუს ევგენი კაფელნიკოვთან, წელს აღარ ითამაშებს, რადგან ბეჭი ტკივა.

დიუსელდორფში ფინალი კვირასაა, პროფ-ტურის სხვა შეჯიბრებები კი შაბათს თავდება, რათა მის მონაწილეებს პარიზში არ დააგვიანდეთ. ამის გამო ხუთშაბათს მეოთხედფინალები იყო, გუშინ — ნახევარფინალები, თუმც კი წვიმა ბევრჯერ ჩაერია საქმეში.

მადრიდში, „იელოუ ფეიჯიზ"-ის ქალთა ღია პირველობაზე, მონიკა სელეშმა (აშშ, 1) ზედიზედ დაამარცხა ორი ხიაფანდი ესპანელი და ნახევარფინალში ეთამაშებოდა ფლორენსია ლაბატს (არგენტინა). მეორე წყვილში შარშანდელი ჩემპიონი იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 2) და არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) შეიბმებოდნენ.

სტრასბურში (საფრანგეთი) სამმა მეოთხედფინალისტმა ხუთშაბათს ორ-ორი მატჩი გამართა. მათგან მხოლოდ ერთმა — 15 წლის ხორვატმა მირიანა ლუჩიჩმა გაიმარჯვა მეორეშიც და გუშინ იუდით ვიზნერს (ავსტრია, 4) ეთამაშებოდა. მეორე ნახევარფინალში შტეფი გრაფი (გერმანია, 1) და ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 3) იყვნენ. მუხლმორჩენილი გრაფი კი ამბობდა, ამ მატჩს რიგითად აღვიქვამო, მაგრამ ის კი უთუოდ ეხსომებოდა, რომ კუტცერმა წელს უკვე ორჯერ დაამარცხა, ამასთან ზუსტად ერთი კვირის წინ ბერლინში 6:0, 6:1 მოუგო და გერმანიის ჩემპიონად მეათედ გახდომა აღარ დაანება.

ზანკტ-პოლტენში (ავსტრია), „რაიფაისენის დიდ პრიზზე" კაფელნიკოვს (2) ოთხშაბათს მიყვა მარსელო რიოსიც (ჩილე, 3), ვისაც შვედმა თომას ნიდალმა 6:4, 6:2 მოუგო, ხუთშაბათს კი თიხის აწ უკვე ექს-დიდოსტატ თომას მუსტერს (ავსტრია, 1) 6:3, 7:6 (7-0) ძლია შეჯიბრს შემორჩენილმა ბოლო განთესილმა — ავსტრალიელმა 33-ე ჩოგანმა პატ რაფთერმა (7). რაფთერი გუშინ ეთამაშებოდა შვედ მაგნუს ნორმანს, მეორე წყვილი კი დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) და მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) იყვნენ.

## ველორბოლა



# ბანესტოს უარი ტკიცა

**მე-80 ჯირო — იტალიის ველო-ტური**

21.05. V ეტაპი (არეცო — ტერმინილო; 215 კმ): 1. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი), 2. ლიუკ ლებლონი (საფრანგეთი, პოლტი), 3. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე-უნო), 4. ივან გოტი (იტალია, საეკო); ...

22.05. VI ეტაპი (რიეტი — ლანჩანო; 210 კმ): 1. რობერტო ზგამბელური (იტალია, ბრეშიალატი), 2. დარიო ფრიგო (იტალია), 3. მიკელე კოპოლილო (იტალია, მანიფიკო), 4. ტობიას შტაინჰაუზერი (გერმანია); ...

ჯამი: 1. ტონკოვი 23 საათი: 43 წუთი. 02 წამი; 2. ლებლონი ჩამორჩებოდა 41 წამით; 3. გოტი 1.07; 4. რობერტო პეტიტო (იტალია, საეკო) 1.13; 5. პანტანი 1.31; 6. ანდრეა ნოე (იტალია, ასიკსი) 1.43; 7. კოპოლილო 1.49; ... 25. ევგენი ბერზინი (რუსეთი, ბატიკ-დალ-მონტე) 5.36 ... 30. ზგამბელური 5.52

შარშანდელი ჩემპიონი ტონკოვი (როიტერ-ის ფოტოზე) კვლავ ლიდერობს და ვარდისფერი კვართი აცვია. პაველემ ოთხშაბათს არაქათგამცლელი ეტაპი ზედ საფინიშო აღმართზე მოუგო ლებლონსა და პანტანის და გვარიანად დაშორდა 1994 წლის ჩემპიონს, თანამემამულე ბერზინს, ვისაც მანამდე ერთი წამით უგებდა.

ხუთშაბათის ეტაპიც სპრინტით დასრულდა. ტონკოვი მასში არ მონაწილეობდა, რაკი 92 სხვა მონაწილესთან ერთად ჯგროდ უწია ფინიშს. ლიანგმა ლიდერებთან 16 წამი წააგო, მაგრამ დაწინაურებულთაგან კოპოლილოს გარდა სხვა არავინ ყოფილა ტონკოვის მეტოქე.

გაიმარჯვა 23 წლის ზგამბელურიმ, ვინაც თავის ასაკში შარშან გამოიჩინა თავი და სამოყვარულო ჯიროც მოიგო, მაგრამ მიგელ ინდურაინის „ბანესტოს" მიწვევას უარი ტკიცა, რაკი იტალიურ გუნდში სურდა რბოლა.

ზგამბელური სამხრეთი იტალიიდან — ხრიოკი კალაბრიიდანაა, მაგრამ ექვსი წლის წინ ჩრდილოეთში — ტრევიზოში დასახლებულა და ოჯახს იქედან არჩენს. გუშინწინდელ ეტაპზე სამ კაცთან ერთად თავიდანვე დაწინაურდა და რადგან ლიდერთაგან ყურიც არავინ შეუბერტყია, ბოლო 100 მეტრზე სპურტით კარიერის პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

ირაკლი ნინუა

## ქიციცა და ქიცმაცური

# მიზანი ხერხს ამართლებს

ამ ამბის გამო მეზობლები — ახალი ზელანდია და ავსტრალია ლამის იყო [illegible] წაეკიდნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ჯაჯი ლათინურ-ამერიკელებისგან განსხვავებით [illegible] არ დაუწყიათ, მაგრამ მედიამ კი [illegible] ეს [illegible] ფაქტი [illegible]რი სიტყვებით შეაფასა.

13-კაცა ოვალურ-ბურთა თამაშში, ე. წ. ლიგა-ში ბოლო ხანს დატრიალებულ ამბავს მოგახსენებთ. ეს სპორტი ჩვენში დანერგილი არაა. ქართველ ქომაგთა უმეტესობაც მის ფრაგმენტს რომ მოკვრავს ტელეეკრანზე თვალს, შეცდომით ჩვეულებრივ რაგბად მიიღებს ხოლმე.

მართლაც, ლიგა რაგბის განაყოფი კია, მაგრამ მას მტრობს, რაკი სანახაობათა ბაზარზე ადგილს ეცილება. ისე კი, თუ ზღვისრეთს გადავხედავთ, იქ რაგბსაცა და ლიგასაც უკვე ორი წელია საერთო დიდი დამფინანსებელი გამოჩენია — რუპერტ მერდოქის მედია-იმპერია, რომელიც ყველა შეჯიბრს პრეფიქსად ზე-ს (SUPER) ურთავს.

რაგბში ზე-12-ია, ლიგაში — ზე-ლიგა. რაგბს რომა აქვს სამი ქვეყნის — ავსტრალიის, ზელანდიისა და აფრიკის სერიალი, ანალოგი ლიგასაც ჰირდება. რაკი ამ თამაშმა აფრიკაში ვერ იხარა, მერდოქის ბიჭები XIX საუკუნეში მიბრუნდნენ, ავსტრალია ერთიანი ჯერ რომ არ იყო, და ლიგის სამეულიც შეკრიბეს: შტატები — ახალი სამხრეთი უელსი (ასუ) და ქვინზლენდი სუვერენულ ახალ ზელანდიას გაუტოლეს.

სერიალი ერთ წრედ დაიგეგმა! ფინალი ქვინზლენდის მოედანზე — ბრისბენში წინდაწინვე დაინიშნა. სამაგიეროდ, ამ გუნდს წრიული შეჯიბრის ორივე მატჩი სტუმრად გაამართვინეს. ამანაც სიდნეიში 10:38 წააგო ასუ-თან, ოქლენდში კი 26:14 მოუგო ახალ ზელანდიას.

მერდოქელებს ფინალად, რაღა თქმა უნდა, ოდინდელი მეტოქეების — ქვინზლენდისა და ასუ-ს შერკინება სურდათ. ზელანდიამ ეს გეგმა კინაღამ მთლად აურია ზე-ლიგას: კანბერაში 15:20 წააგო ასუ-თან. არადა, მსაჯს ზელანდიელთა მიერ ბოლო წუთზე გატანილი ნაღდი ლელო რომ ჩაეთვალა და მერე გარდასახვაც გასულიყო, სტუმრები ერთი ქულით მოიგებნენ, სამივე გუნდი ორ-ორ ქულას დააგროვებდა და ასუ და ზელანდია ფინალს უცხო ბრისბენში გამართავდნენ; მას ცოტა ხალხი დაესწრებოდა, რაც ლიგის მამებისთვის ფინანსური კატასტროფა იქნებოდა.

მსაჯსა და თანა-მსაჯებს ალბათ ყველაფერი გათვლილი ქონდათ და ლელოს, აბა, როგორ ჩათვლიდნენ. მთელი თამაშიც თურმე ზელანდიელთა შევიწროებაში გაელიათ. ჰოდა, ზე-ლიგის მიერ დაკანონებული ვიდეო არც გახსენებიათ, მატჩი ისე დაამთავრეს.

ზელანდიელებმა იჩივლეს. ლიგამ მსაჯები დახსნა, ფინალი კი მართლა გადასარევი გამოვიდა: 35 ათასი ქვინზლენდელის წინაშე ასუ-მ მეორე დამატებითი დროის მე-3 წუთზელა გაიმარჯვა ერთი კინკილა არეკნით 23:22!

თენგიზ არტამონოვი

## რაგბი

### ლომები სამხრეთ აფრიკაში



# ახლა სხვა დროა

მსოფლიო სპორტის უნიკალური ფენომენი — ბრიტანეთის ოთხი ქვეყნის სარაგბო ნაკრები, სახელად „ლომები" რომა ქვია, ერთი კვირაა სამხრეთ აფრიკაშია, მაგრამ შვიდკვირიანი — 13-მატჩა და სამტესტა ტურნეს პირველ თამაშს დღესლა გამართავს: პორტ-ელიზაბეთის „ბოტ ერაზმუსზე" ეთამაშება მასპინძელი აღმოსავლეთი კონცხის წვეულ გუნდს, რაც იმასა ნიშნავს, რომ კონცხელებს თითოოროლა უცხო ვარსკვლავიც შეეწევათ.

„ლომები" კვაზულუ-ნატალში, სანაპირო ქალაქ უმლანგაში დაბანაკდნენ, დარტვირთვები ნელ-ნელა გაზარდეს და შეთამაშდნენ. 35-კაციანი გუნდიდან სერიოზულად არავინ დაშავებულა, მაგრამ სელექტორებმა დღევანდელი მატჩისთვის ტესტ-კაპიტანი, ინგლისელი მეორეხაზელი მარტინ ჯონსონი მაინც დაასვენეს. მას თანამემამულე ბურჯი ჯეისონ ლენარდი შეენაცვლება.

„ლომებს" აფრიკელები დიდი ამბით დაუხვდნენ. ქვეყანაში უკვე შეინიშნება „სალომო" ბუმის ნიშნები, ტესტების მოახლოების კვალად კი ნაღდი ისტერია გაჩაღდება. როგორც ბრიტანელები ბრძანებენ, მასპინძლები ყველაფერს იკადრებენ, ტესტ-სერია რომ მოგვიგონო: დაგვაშინებენ, მსაჯებს ჩვენზე დაგეშავენ და ყოველდღიურ ყოფაშიც გულს გაგვიწყალებენო.

„ლომები" რესპუბლიკაში წინა ჯერზე 1980 წელს იყვნენ. მაშინ სხვა დრო იყო — იქ აპარტჰეიდი მძვინვარებდა და მთელი მსოფლიოს პროგრესულ მედიას რაგბის ტურნე პოლიტიკურ პროვოკაციად მიაჩნდა. განსაკუთრებით აქტიურობდა „სავეცკი სპორტი", რომელიც ბოლო გვერდზე სისტემატურად ლანძღავდა რაგბს, თამაშების ანგარიშებს კი არც ახსენებდა.

ახლა ვითარება სხვაგვარია. მანდელას ქვეყანაში რასათა შერიგების გაგანია პროცესია. ცოტა ხნის წინ ამოიწურა ალსარების ვადაც: განურჩევლად კანის ფერისა, ყველას, ვინც კი რასიზმის დროინდელი ცოდვები აღიარა, პასუხს აღარ მოკითხავენ. ამ თვალსაზრისით საგულისხმო იყო „ლომების" დამხვედრი სპორტის ზანგი მინისტრის, ექს-პოლიტ-პატიმარ სთივ შვეტეს მოგონება, ბრიტანელთა 1974 წლის ტურნეს დროს მათი გამარჯვება ერთობ გამეხარდა, რადგან იგი რასიზმის მარცხად აღვიქვი, ახლა კი მთელი ქვეყანა — თეთრიცა და შავიც ჩვენი „ქურციკების" მხარესააო.

ის ტურნე მართლაც რომ ისტორიული იყო: „ლომები" მაშინ ძლიერნი იყვნენ და ტესტ-სერიაც 3-0 (1 ფრე) მოიგეს. აი, მანამდეც და მერეც კი გამარჯვებული „ქურციკები" გამოდიოდნენ: 1910 და 1938 წლებში 2-1; 1924, 1962 და 1968 წლებში 3-0 (1); 1980-ში 3-1. 1955 წლის სერია ყაიმით 2-2 დასრულდა. ერთი სიტყვით, ორი დიდი გუნდის 30 შერკინებიდან 18 აფრიკელებს აქვთ მოგებული, 8 — ბრიტებს, 4 კი ფრედ დამთავრებულა.

„ლომების" ამჟამინდელი მენეჯერი, ინგლისის ექს-ბურჯი ფრენ ქოთონი 1974 წლის ლაშქრობის ვეტერანია და ამბობს, იმ გუნდთან ახლანდელის შედარება არ ეგების, რადგან ჩემი ახლანდელი შეგირდები წლევანდელი ტურნეთი თავად ხდებიან სარაგბო ისტორიის შემოქმედებიო.

> **ვაჰ, დრონი, დრონი!...**
>
> 1980-ის ბოლო ტესტი: ბრიტანელები ბილ ბომონთი და დერიქ ქვინელი აფრიკელ მორნე დიუპლესის ეცილებიან ძირს გდებულ ბურთს. დიუპლესი სულ ახლახანს „ქურციკთა" მენეჯერი იყო, ქვინელის ვაჟი სქოთი კი „ლომების" ძირითადი 8 ნომერია

მენეჯერს ალბათ შეწევს ამგვარი ქადილის ძალა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ დიდზედიდი მოთამაშეები — აფრიკელები ნაას ბოთა და ჯოელ სტრანსკი, და კიდევ ავსტრალიელი დევიდ ქემპიზი ბრიტების სასტიკ მარცხს წინასწარმეტყველებენ: ესაო და სტუმრები ვერ გაუძლებენ აფრიკელთა შემართებას, ძალასა და სისწრაფეს, და თან არც დიდი 10 და 15 ნომრები ყავთო.

ქოთონმა გუნდი საგულდაგულოდ ამზადა. ბიჭებს უწინარესად დისციპლინა და თავშეკავება ჩაუნერგა. აკი თავად ყოფილა 1974 წლის საარაკო უმსგავსობათა მონაწილე. ესაო და აფრიკელებმა არ დაგვშინონ და მსაჯმაც გასაძევებელი მოთამაშე ვერ აარჩიოსო, „ლომების" მაშინდელმა კაპიტანმა, ირლანდიის მეორეხაზელმა ვილი-ჯონ მაკბრაიდმა პაროლი შეიმუშავა: ნებისმიერი „ლომი" რაწამს 99 (ნაინთინაინ) დაიძახებდა, ყველა დანარჩენი თავის უშუალო მეტოქისკენ გაქანდებოდა და ლიანგური მუშტი-კრივი გაჩაღდებოდა, თამაშის შემდეგ კი „ლომები" ლხენას მიეცემოდნენ და ცივილიზებული სამყაროს მიყრუებულ პროვინციაში არანაირ ამქვეყნურ სიამოვნებას არ იკლებდნენ.

ახლა ამ მხრივაც სხვა დროა. ფხიზელი თანამსაჯებისა და ვიდეო-თვალის შიშით მსაჯის უჩუმრად მეტოქეს ველარავინ დაწიხლავს. ქალაქის გარეუბნებში წანწალი, სმა, ყომარი, ფსონობა, მრუშობაც წარსულს ჩაბარდა. რაგბი დღეს პროფესიულია და „ლომებსაც" ჯარისკაცთა სადარი დღიური განაწესი აქვთ, ოდენ ვარჯიშს, დასვენებას, მატჩებსა და ოფიციალურ წვეულებებს რომ მოიცავს. სამაგიეროდ, ბურთაობაც უფრო ეშხიანი გამოუდით: „ლომების" შოტლანდიელი მწვრთნელების — იენ მაკგიქანისა და ჯიმ ტელფერის თქმისა არ იყოს, „დადებითი, უწყვეტი, დინამიური, მოქნილი და ზომიერად რისკიანი". აფერუმ!

### ზე-12-ის სერიალი

დღეს ნახევარფინალებია: ჩვენი დროით დილის 8-ის ნახევარზე ახალი ზელანდიის ოქლენდის „ლურჯები" „იდენ პარკზე" უმასპინძლებენ სამხრეთი აფრიკის ნატალის „ზვიგენებს", დღის სამის ნახევარზე კი ავსტრალიის კანბერის „ველური რაშები" „ბრუს სთეიდიუმზე" ეთამაშებიან ზელანდიის ველინგთონის „გრიგალებს".

მატჩებს ნეიტრალური მსაჯები გაუძღვებიან: ოქლენდისას ავსტრალიელი ვეინ ერიქსონი იმსაჯებს, კანბერისას — აფრიკელი ანდრე ვოთსონი. ფინალი 31 მაისისთვისაა დანიშნული.

გუნდების შანსებზე ნათელ წარმოდგენას ქმნის ზელანდიური „კროკოს" — ტაბ-ის კოეფიციენტები. ოქლენდის მოგების გამომცნობს ფსონი 1,07-ზე გაუმრავლდება და ისე დაუბრუნდება. კანბერას ასეთ რიცხვად 1,45 უწერია, ველინგთონს — 2,50, ნატალს — 6,50. ნატალმა ოქლენდში ორჯერ წააგო: შარშან ფინალში, წელს — IX კვირაში, გუშინ კი გაირკვა, რომ კოჭი იღრძო სერიალის უპირველესმა დამრტყმელმა ლოლისმა და ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, „ზვიგენებს" 15 ნომრად ეყოლებათ ნაოპერიები ჟუბერი.

დანარჩენ სამ გუნდს ფაქტობრივად არავინ აკლია. კანბერამ კვირას ველინგთონს სტუმრად ეშხიანად მოუგო და თურმე შინაც შეტევას აპირებს, მით უფრო, თუ იქ არასოდეს დამარცხებულა. ოქლენდს კი, თითქო სუსტი იყვეს, დამატებითი სტიმულიცა აქვს — თუ მოიგო, დიდ ფინალს შინ გამართავს.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29